გაზეთი ზივრის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№62 (957) 13 - 15 ივნისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ივ.7-12 ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

თიბისი ბანკის აქციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე განთავსდა

გლობალური მნიშვნელობის ტრანზაქცია — ბანკის აქციების ღირებულებამ 400 მილიონ დარს გადააჭარბა

ექსკლუზიური ინტერვიუ გია ჭანტურიასთან

რა კითხვები აქვს ბიძინა ივანიშვილთან და აქვს თუ არა კავშირი „რუსთავი 2-ის" ახალ ანიმაციურ სერიალთან „ქერის უბანი"

მარნეულში, „ქართულმა ოცნებამ" კანდიდატურა ორი, ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ოპოზიციური კანდიდატის სასარგებლოდ მოხსნა

კოალიცია „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: „კოალიცია „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭომ იმსჯელა და, მარნეულში შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა ვერ მოახერხონ ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირების პროვოცირება, აგრეთვე თავიდან იქნეს აცილებული დამატებით სიტუაციის ესკალაცია, მიიღო გადაწყვეტილება, ურჩიოს მარნეულის „ქართული ოცნების" კანდიდატს, მოხსნას არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურა ეთნიკურად აზერბაიჯანელი 2 ოპოზიციური კანდიდატის სასარგებლოდ.

ჩვენ ვარღვევთ წლების განმავლობაში დამკვიდრებულ მანკიერ პრაქტიკას, როდესაც, როგორც წესი, მარნეულში ხელისუფლება ამომრჩეველს თავს ახვევდა საკუთარ კანდიდატს და ყოველთვის იმარჯვებდა სახელისუფლებო კანდიდატი.

აქამდე ყველა ხელისუფლება გადაწყვეტილებას იღებდა მხოლოდ საკუთარი ვიწროპარტიული ინტერესებიდან გამომდინარე და ამას აყენებდა სახელმწიფოებრივ ინტერესზე მაღლა, რაც ხელს უწყობდა ქვეყანაში, საზოგადოებაში დაბალი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას.

იმის ნიშნად, რომ ჩვენი ხელისუფლებისთვის მთავარია სახელმწიფოს ინტერესები, საზოგადოებრივი თანხმობა და ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის ამაღლება, ვქმნით პრეცედენტს, როდესაც ხელისუფლება თავად ხსნის თავის კანდიდატურას ოპოზიციური კანდიდატების სასარგებლოდ".

სლოგანების ომი

80-დან 76 შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტებმა კანდიდატურის მოხსნისას ზეწოლის ფაქტები არ დაადასტურეს

მთავარი პროკურატურა საარჩევნო სუბიექტების მიმართ განხორციელებულ შესაძლო ზეწოლასთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს: **„საქართველოს პროკურატურამ საარჩევნო სუბიექტების მიმართ განხორციელებული შესაძლო ზეწოლის 80 ფაქტი გამოიკვლია, საიდანაც უწყებამ გამოძიება მხოლოდ 4 შემთხვევაში დაიწყო. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული, აგრეთვე მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის ნამდვილობის გადამოწმების მიზნით 100-ზე მეტი პირი გამოიკითხა, რომელთა შორის იყვნენ არამხოლოდ შესაძლო ზეწოლის ე.წ. მსხვერპლები, არამედ ყველა ის პირი, რომელსაც მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით გააჩნდა რაიმე სახის ინფორმაცია. ამასთანავე, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა უშუალოდ გადაამოწმეს ის ფაქტები, სადაც შესაძლო მუქარასა და ზეწოლაში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს ამხელდნენ. 80-დან 76 შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტებმა გამოკითხვისას არ დაადასტურეს გავრცელებული ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ან სხვა პირთა მხრიდან ზეწოლის შედეგად კანდიდატურის მოხსნის შესახებ და კანდიდატურის მოხსნის მიზეზად სხვადასხვა პირადი (ოჯახური მდგომარეობა, ასაკი, გადატვირთულობა და ა.შ.) მოტივი დაასახელეს.**

პროკურატურამ გამოიკვლია უწყებათშორის საბჭოს სხდომაზე გაჟღერებული საკითხი შალვა გოლოშვილის მიმართ ზეწოლის შემთხვევის ფაქტზე, რომლის შესახებ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა თამაზ მაყაშვილმა განუცხადა. გამოკითხვისას სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან რაიმე ფორმით ზეწოლის ფაქტი უარყო როგორც შალვა გოლოშვილმა, ისე თამაზ მაყაშვილმა, რომლის გამოკითხვას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი ესწრებოდა. თამაზ მაყაშვილმა ასევე განმარტა, რომ ზეწოლის ფაქტთან დაკავშირებით ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელთან მხოლოდ ვარაუდი გამოთქვა.

4 შემთხვევაში დაიწყო გამოძიება საქართველოს სსკ-ს 150-ე მუხლით, რაც გულისხმობს ადამიანის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას, ესე იგი, მის ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებას, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისაგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ან საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება. გამოძიება გრძელდება მუქარისშემცველი ზარების ავტორების და იმ პირთა ვინაობის დასადგენად, რომლებიც შესაძლოა, ფლობდნენ რაიმე ინფორმაციას მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

პროკურატურა ასევე დაინტერესდა სოფელ უდეში მომხდარი სავარაუდო ზეწოლის ფაქტებითაც. გამოიკითხნენ როგორც საარჩევნო კანდიდატები, რომლებმაც გავრცელებული ინფორმაცია ზეწოლის შედეგად კანდიდატურების მოხსნის შესახებ არ დაადასტურეს, რაზეც შედგა შესაბამისი დოკუმენტაცია. პროკურატურამ შეისწავლა მედიასაშუალებით გავრცელებული ინფორმაცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან ოზურგეთის დეპუტატობის კანდიდატის კახა კილაძის მიერ კანდიდატურის მოხსნის შესახებ. გამოკითხვისას კახა კილაძემ განმარტა, რომ კანდიდატურა თავიდანვე ფორმალურად დააყენა მისი მეგობრის — ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მიხეილ გოგოტიშვილის თხოვნით, რომელმაც აუხსნა, რომ რეგისტრაცია ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ნებისმიერ დროს შეეძლო კანდიდატურის მოხსნა“.

„პირველი“

Freedom House-ის მონაცემებით, საქართველოში დემოკრატიის ხარისხი გაუმჯობესდა

ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ანგარიში — „ქვეყნები გარდამავალ ეტაპზე — 2014“.

საქართველოში დემოკრატიის ხარისხის შეფასება ერთიწლისწინანდელი 4,75-დან 4,68 ქულამდე გაუმჯობესდა, 2012 წელს კი იგივე ორგანიზაცია საქართველოში დემოკრატიის ხარისხს 4,82 ქულით აფასებდა.

ანგარიშის ავტორების განმარტებით, შეფასების 7-ქულიან სისტემაში 1-იანი ყველაზე მეტ პროგრესს აღნიშნავს, 7-იანი კი ყველაზე დაბალს.

საარჩევნო პროცესი საქართველოში 4,5 ქულით ფასდება, სასამართლოს დამოუკიდებლობა — 5 ქულით, მედიის დამოუკიდებლობა — 4 ქულით.

2005-დან 2014 წლამდე პერიოდში დემოკრატიის ხარისხის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საქართველოს აქვს — ის 0,28 ქულითაა გაუმჯობესებული.

„პირველი“

თეა წულუკიანი შვილდაკარგულ ოჯახებს მიმართავს

იუსტიციის მინისტრი მოუწოდებს მათ, აგრესიას თავად ნუ განახორციელებენ და გამოძიების შედეგებს დაელოდონ: **„მივმართავ უმორჩილესი თხოვნით ყველა იმ ოჯახს, რომელმაც სახელმწიფოს ხელით დაკარგა შვილი, დაკარგა ძმა, წინა მთავრობის მმართველობის პერიოდში და თანაც ზოგმა ისე, რომ დღესაც ვერ ეღირსა ცხედრის პოვნას, დაელოდონ დაწყებული გამოძიების შედეგებს და ნუ განახორციელებენ თავად აგრესიას, რამაც უარესი შედეგი შეიძლება მოიტანოს მათთვის, როგორც ეს მოხდა თბილისში ერთ-ერთ კაფეში“.**

„პირველი“

შსს-მ კიბერდანაშაული გახსნა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევისა და პლასტიკური ბარათიდან ფულადი თანხის ფარულად დაუფლების ბრალდებით, 1986 წელს დაბადებული, საქართველოს მოქალაქე ელენე გ. და 1990 წელს დაბადებული, რუსეთის მოქალაქე გიორგი მ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ელენე გ. გიორგი მ-ს კუთვნილ კაფე-ბარში მიმტანად მუშაობდა, მასთან შეთანხმებით, სპეციალური მოწყობილობის – ე.წ. რიდერის საშუალებით, 2014 წლის მარტიდან მაისამდე უკანონოდ აგროვებდა ბარის სხვადასხვა კლიენტის საბარათე მონაცემებს და კლიენტების მიერ თანხის გადახდის დროს ტერმინალებზე დაფიქსირებულ პინ-კოდებს იმახსოვრებდა. ბრალდებულებმა აღნიშნული მეთოდით 300 მოქალაქის პლასტიკური ბარათის მონაცემები მართლსაწინააღმდეგოდ მოიპოვეს. უკანონოდ მოპოვებული მონაცემების გამოყენებით, გიორგი მ. სპეციალური მოწყობილობის – ე.წ. რაითერი-ს საშუალებით ყალბ პლასტიკურ ბარათებს ამზადებდა და აღნიშნული ბარათების გამოყენებით ელენე გ-სთან ერთად სხვადასხვა ბანკომატიდან თანხებს მართლსაწინააღმდეგოდ ანაღდებდა. აღნიშნული სქემით, 2014 წლის მაისში ელენე გ. და გიორგი მ. ფარულად დაეუფლნენ სხვადასხვა მოქალაქის კუთვნილ 1400 ლარს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულების საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას უკანონოდ მითვისებული თანხები, 47 ცალი პლასტიკური ბარათი, ტექნიკური მოწყობილობები – ე.წ. რიდერი და რაითერი, კომპიუტერული ტექნიკა და მეხსიერების ფლეშ-ბარათები ნივთმტკიცებად ამოიღეს. ბრალდებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიება მიმდინარეობს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით კომპიუტერულ სისტემაში შეღწევისთვის საჭირო დაშვების კოდის უნებართვო შენახვის, ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება-გამოყენების და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სსკ-ს 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 285-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

გიორგი ქადაგიძე მომხმარებლებს ე.წ. საკრედიტო მახეების შესახებ აფრთხილებს

საკითხთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის პრეზიდენტი საბანკო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა. გიორგი ქადაგიძის განმარტებით, მნიშვნელოვანია, მომხმარებლებმა სესხის აღებისას არა მხოლოდ კარგად წაიკითხონ ხელშეკრულებები, არამედ მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინონ ისეთი პროდუქტის მოხმარებისას, როგორიცაა განვადება, საკრედიტო ბარათი და სესხის გადაფარვა: **„უკანასკნელი ტენდენციების ანალიზი ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვნად იზრდება საცალო დაკრედიტება სამომხმარებლო სექტორში. თუ ამას დავუმატებთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ლომბარდებს, მომენტალურ განვადებებს და სხვა, ვიღებთ სურათს, როცა ვალის მომსახურების ტვირთი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში არის საკმაოდ მაღალი, გაზრდის შემთხვევაში კი, შეიძლება დიდ საფრთხეს შეიცავდეს. დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყანაში, არაა გასაკვირი, ადამიანების ნაწილს ფინანსური პრობლემა შეექმნას. ამ ფონზე, სავარაუდოა, რომ იგი მიაკითხავს შესაბამის ინსტიტუტს სესხის რესტრუქტურიზაციის მიზნით. პრობლემა და არაეთიკური პოლიტიკა კი არის ზუსტად ის, რომ ესა თუ ის საკრედიტო ინსტიტუტი ასეთ ადამიანს სთავაზობს ახალ სესხს ძველის გადასაფარად. როგორც წესი, ეს არის საკითხის დროებითი და არა ფუნდამენტური მოგვარება. თითოეულ ასეთ შემთხვევაზე ადეკვატური რეაგირება გვექნება, თუმცა არის მეორე ფაქტორიც — უშუალოდ მომხმარებლებს ვთხოვ, ვაფრთხილებ, მოვუწოდებ, არა მარტო ხელშეკრულებები წაიკითხონ კარგად, არამედ მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინონ ისეთი პროდუქტის მოხმარებისას, როგორიცაა განვადება, საკრედიტო ბარათები, სესხის გადაფარვა. ესენია ყველაზე ძვირი პროდუქტი, ამიტომ, როცა მათ ვირჩევთ, უნდა ვიყოთ მაქსიმალურად ფრთხილად და კარგად დავგეგმოთ საკუთარი ფინანსები. ფუფუნების საგნების კრედიტით შეძენა რისკისშემცველია“.**

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ბანკებმა საკრედიტო პოლიტიკა მაქსიმალურად უნდა მიუსადაგონ კლიენტებს.

„ინტერპრესნიუსი“

ჟოზე მანუელ ბაროზო თბილისშია

ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზოსთან ერთად საქართველოში გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი შტეფან ფულე ჩამოვიდა.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მაღალი რანგის სტუმრებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი და ევროკავშირში საქართველოს ელჩი ნატა საბანაძე დახვდნენ.

აეროპორტიდან ჟოზე მანუელ ბაროზო ავლაბრის სასახლეში გაემართა, სადაც საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს შეხვდა. დღეს კი, ევროკომისარი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად საქართველო-ევროკავშირის მაღალი დონის საინვესტიციო კონფერენციას გახსნის.

„ინტერპრესნიუსი“

ირაკლი ღარიბაშვილი: „თიბისი ბანკის IPO საქართველოში ინვესტიციებს გაზრდის“

გლობალური მნიშვნელობის ტრანზაქცია — ბანკის აქციების ღირებულებამ 400 მილიონ ლარს გადააჭარბა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

11 ივნისს, ლონდონის საფონდო ბირჟაზე თიბისი ბანკის ოფიციალურ წარდგენას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე დაესწრნენ. ლონდონის საფონდო ბირჟაზე თიბისი ბანკის აქციების პირველადი შეთავაზება (IPO — Initial Public Offering) უკვე განხორციელდა. ეს საერთაშორისო მნიშვნელობის ტრანზაქციაა, რადგან თიბისი ბანკის მიერ განთავსებული აქციების ღირებულებამ 400 000 000 ლარს გადააჭარბა. მთავრობის მეთაურმა ბანკს წარმატება მიულოცა და განაცხადა, რომ საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს წარმოსაჩენად, მან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა.

„დღეს ვუახლოვდებით განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურს, სულ რამდენიმე კვირაში ხელს მოვაწერთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რაც უფრო გააღრმავებს საქართველოს ინტეგრაციას ერთიან, თავისუფალ და მშვიდობიან ევროპაში“, — განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა** და საზოგადოებას საქართველოში განხორციელებული წარმატებული რეფორმების შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია. პრემიერის განმარტებით, საქართველოს მთავრობის მთავარი მიზნებია: მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ღია და სამართლიანი კონკურენცია ბაზარზე, საკუთრებისა და ინტელექტუალური საკუთრების შესაბამისი დაცვა, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობა, ეფექტიანი ფინანსური სისტემები და სტაბილური, პროგნოზირებადი საკანონმდებლო გარემოს შექმნა: **„ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში თვალშისაცემია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა. ქვეყანაში ბიზნესისთვის ხელსაყრელი პოლიტიკა, მჭიდრო რეგიონული სავაჭრო ურთიერთობები და საქართველოს მდებარეობა ევროპისა და აზიის გასაყარზე კიდევ უფრო გააქტიურებს ეკონომიკურ ზრდას და მოიზიდავს უცხოურ ინვესტიციებს“.**

ირაკლი ღარიბაშვილმა ბიზნესის წარმომადგენლებს ქართული საინვესტიციო გარემოც გააცნო და საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების გამოყენება შესთავაზა: **„ხელისუფლებას შეგვიძლია ვიყოთ ხელშემწყობები, მაგრამ ამ შესაძლებლობის გამოყენება სწორედ ბიზნესზეა დამოკიდებული. ჩვენი სურვილია, ბიზნესმა ჩვენში დაინახოს სანდო პარტნიორი. ჩემი გუნდი მზად არის თქვენთან თანამშრომლობისთვის, რათა თქვენი შემოსვლა საქართველოში იყოს მაქსიმალურად მარტივი და წარმატების მომტანი“.**

რაც შეეხება ლონდონის საფონდო ბირჟაზე თიბისი ბანკის აქციების განთავსებას. თიბისი ბანკის აქციები უკვე შეიძინა 100-მდე მაღალი რეპუტაციის მქონე ინსტიტუციონალურმა ინვესტორმა. ეს ფაქტი საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ამგვარად შეაფასა: **„თიბისი ბანკმა გლობალური მნიშვნელობის ტრანზაქცია განახორციელა. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია აქციების პირველი, წარმატებული განთავსება და დიდი ბრიტანეთის, აშშ-ს, სკანდინავიისა და ევროპის სხვა ქვეყნების ასამდე აღიარებული ინსტიტუციონალური ინვესტორის მონაწილეობა. შედეგად, თიბისი ბანკი მსოფლიოს წამყვანი საჯარო კომპანიების რიცხვს შეუერთდა. თიბისი ბანკის IPO საქართველოში ინვესტიციებს გაზრდის“**

პრემიერ-მინისტრის თქმით, ტრანზაქციის წარმატება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ინვესტორებს ეჭვი არ ეპარებათ საქართველოს სტაბილურობასა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის პოტენციალში.

თიბისი ბანკის აქციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე, Bank of New York Mellon-ის დახმარებით, გლობალური დეპოზიტარული ხელწერილების (GDRs) სახით განთავსდა. შეთავაზება Barclays Bank, PLC და UBS საინვესტიციო ბანკების მონაწილეობით განხორციელდა, რომლებიც მოქმედებდნენ, როგორც ერთობლივი, გლობალური კოორდინატორები და ბუკრანერები. განთავსებული აქციების ღირებულების მიხედვით, თიბისი ბანკის IPO, ყველაზე დიდი ინდექსგარეშე საერთაშორისო შეთავაზებაა ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის მასშტაბით. თიბისი ბანკში აცხადებენ, რომ ლონდონის საფონდო ბირჟაზე აქციების განთავსების შემდეგ, ბანკის ინვესტორთა ბაზა გაფართოვდება. ამასთან, ბანკის მრავალი აქციონერი, ინსტიტუციონალური აქციონერებისა და დამფუძნებლების — მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის ჩათვლით, ბანკის აქციონერებად რჩებიან.

აქციების განთავსების შედეგად მოზიდული თანხით, თიბისი ბანკი საბანკო სექტორის ისეთი მზარდი სეგმენტების დაფინანსებას გეგმავს, როგორიცაა საცალო, მცირე და საშუალო ბიზნესი. თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის, **ვახტანგ ბუცხრიკიძის** განცხადებით, ლონდონის საფონდო ბირჟაზე აქციების განთავსება იმის აღიარებაა, რომ ბანკი, როგორც ფინანსური ინსტიტუტი, მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტებს აკმაყოფილებს: **„ამასთან, აქციების განთავსება შესაძლებლობას გვაძლევს, ბიზნესპროცესები საერთაშორისო კომპანიების დონის შესაბამისად გავაუმჯობესოთ და კორპორატიული მართვის უფრო მაღალი სტანდარტი დავნერგოთ. ეს არის უზარმაზარი ინვესტიცია, რომლის მოზიდვაც ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას, გაზრდის ინვესტორთა ნდობას საქართველოში მოქმედი კომპანიების მიმართ, რაც ჯამში, ქვეყნის ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების წინაპირობაა“.**

ნინო კომახიძე, 599-95-33-16

„გიორგი გაჩეჩილაძე თბილისის მერად“, „კახა კუკავა თბილისის მერად“, „როინ ლიპარტელიანი თბილისის მერად“... — ჩაიკითხავ დედაქალაქის თავკაცობისთვის მებრძოლთა წინასაარჩევნო სლოგანებს და ჩაგეძინება. პოლიტიკოსებს იოლი გამოსავალი მოუძებნიათ, დაპირებებით ენის დაღლაც აღარ უნდათ და პირდაპირ საკუთარ თავს გვთავაზობენ. რა კრეატივი, რის სიახლე და საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული სტანდარტი?! იდეალური სლოგანი 2-დან 4 სიტყვამდე უნდა იყოს და მასში საკუთარი პრობლემის გადაჭრის გზა დაინახო. ჩვენთან კი პირიქითაა, სლოგანები ზოგჯერ იმსიგრძეა, პროგრამაში აგერევა. სამაგიეროდ, პროგრამებია ლამის სლოგანებზე მოკლე და არაფრისმთქმელი.

უშინაარსო, სტალინისტური, არაადეკვატური და ნაგვის ყუთზე მისაწერი სლოგანების ომი 2015 წლის არჩევნებზე

„მრჩება შთაბეჭდილება, პარტიათა უმეტესობას სლოგანი მხოლოდ იმიტომ აქვს, რომ საჭიროა“

ბოლო 3 წელია ამ ქვეყანაში სულ არჩევნები ტარდება და წინასაარჩევნო დოღის მთავარი ლაიტმოტივი ნაცვალსახელ „მე“-ს მაინც ვერ გასცდა. ქართული „მეობის“ თემა წელსაც აქტუალურია. შარშან პრეზიდენტობის კანდიდატებმა აქცენტი, როგორც იქნა, ჩვენზეც გააკეთეს და ასეთი ერთფეროვანი სურათი მივიღეთ: მარგველაშვილი ამბობდა „ერთად განვაგრძოთ წინსვლა“, ბაქრაძე გვთავაზობდა — „ერთად ვაკონტროლოთ მთავრობა“, ბურჯანაძე კი ჯიუტად იმეორებდა — „ერთად აღვადგინოთ სამართლიანობა“. წელს ტაქტიკა არ შეცვლილა — სიტყვები „მე“, „შენ“, „ერთად“ და „გარეშე“ კვლავაც ხშირად გვხვდება. „ერთად ავამუშაოთ საქართველო“ — მოგვიწოდებს **ერთიანი ნაციონალური მოძრაობა,** ბრენდადაქცეული საარჩევნო ნომრით. პარტია ამ სლოგანით რაიონებში იასპარეზებს, ნიკა მელიას ლოზუნგი კი იგივეა — „ერთად ავამუშაოთ თბილისი“. პიარის დიდოსტატებს ერთი სტრატეგიული შეცდომა დაუშვიათ: მათივე ლოგიკით, უნდა აამუშაო ის, რაც გაჩერებულია, მაგრამ თუ ასეთი „მუშა“ იყო მთელი ქვეყანა, აწყობილი სისტემითა და ინფრასტრუქტურით, ასეთი რა მეხი დასცა „ქართულმა ოცნებამ“, რომ ისევ ნაციონალებმა უნდა ამოგვქოქონ?! ერთიც უნდა ითქვას — მერობის ასეთი სუსტი კანდიდატი პიარტექნოლოგიებში ყოფილ მმართველ გუნდს ჯერ არ ჰყოლია. დღე ერთია და მელიას მიერ შემთხვევით წამოსროლილი აღიარებითი ჩვენებები ათასი — ეს რა დღეში ვიყავით 9 წელი; რატომ მართავდა თბილისს წინა წლებში ის ხალხი, ვინც ამას არ იმსახურებდა; ქართველ ხალხთან ბოდიში გვაქვს მოსახდელი... თუ ესეც წინასაარჩევნო ფანდია, მაშინ ჩვენ ეს კინო ნანახი გვაქვს. აი, თუ გულწრფელად ეშლება, მაშინ მისი კანდიდატად დაყენება ნაციონალებს შეშლიათ.

მელიას არც ნარმანია ჩამოუვარდება. **„ოცნებას“** თბილისშიცა და ზოგადად, საქართველოს ყველა რეგიონში იდენტური სლოგანი აქვს. ისე, ბოლო პერიოდში, ხელისუფლების ყველა ლიდერმა იმდენჯერ გაიმეორა, ნაციონალების 9-წლიანი ბოგინი საბოლოოდ უნდა დასრულდესო, კაცი იფიქრებდა, საარჩევნო სლოგანადაც ამ ოქროს ფრაზას გამოიყენებდნენ, მაგრამ არა — უჩვენოდ არც „ოცნება“ აპირებს თითის განძრევას. მათთან ერთად უნდა ვიზრუნოთ საქართველოზე და დავით ნარმანიასთან ერთად ვიზრუნოთ თბილისზე. მეტიც, ნარმანიას თუ ავირჩევთ, დედაქალაქში მილიონ ხეს დაგვირგავს და მერე ერთად ვიზრუნებთ ამ ხეების მოვლაზეც. „ოცნება“ ადგილობრივ არჩევნებზეც 41 ნომრით იასპარეზებს.

15 ივნისს, **„ერთიანი ოპოზიციის“** სახელით, არჩევნებზე ერთად რამდენიმე გამოცდილ პოლიტიკოსს ვიხილავთ — გამარჯვებისთვის ნინო ბურჯანაძე, ქრისტიან-დემოკრატები, ჯონდი ბაღათურია და დიმიტრი ლორთქიფანიძე იბრძოლებენ. მოკლედ, ბურჯანაძემ სამართლიანობის აღდგენას თავი ანება და ქვეყნის მონესრიგებაზე გადავიდა. „დროა, მოვაწესრიგოთ თბილისი“ — ამ ლოზუნგით ქალაქის მერობა მის კანდიდატ დიმიტრი ლორთქიფანიძეს სურს, მაგრამ არჩევნებში დახელოვნებულებს რატომ ვერ გაუგიათ, რომ არ შეიძლება საკუთარი სლოგანის პრეზენტაცია ისეთი სიტყვით დაიწყო, როგორიცაა „ნგრევა“?! დავშლი, დავანგრევ, გავანადგურებ, დავამთავრებ — რასაც უნდა ანგრევდე, ისედაც მასობრივად გაღიზიანებულ ხალხს უფრო აღიზიანებ!

დასასრული მე-4 გვერდზე



უშინაარსო, სტალინისტური, არაადეკვატური და ნაგვის ყუთზე მისაწერი სლოგანების ომი 2015 წლის არჩევნებზე

მე-3 გვერდიდან

„დავანგრევ კორუმპირებულ სისტემას და ბიუჯეტის თითოეულ თეთრს საზოგადოებას მივუძღვნი“. ძალიან კარგი გეგმა კი ჰქონია ლორთქიფანიძეს, მაგრამ დაუწერელი კანონი მაინც დაარღვია. მისი საპრეზენტაციო „სფიჩი“ კი წელს მართლაც შეუდარებელი იყო: „თბილისელობა ესაა სულის თვისება და შემდეგ გეოგრაფიული თავისებურება. ეს ის თვისებაა, რომელმაც შენ, მერს უნდა მოგცეს უფლება, ან სინდისის დონეზე აგიკრძალოს, გაღმა ნაპირზე დაქცეული დოქები დადგა თუ უარი თქვა, პატრიარქის სასთუმალთან „შანგრილა“ აღმოაცენო თუ უარი თქვა, 100 000 მოწამის დაცემის ადგილზე „ბუდაბარი“ წამოასკუპო თუ უარი თქვა“. მოკლედ, ბურჯანაძის კანდიდატმა, სულ 2 წინადადებაში თბილისის ნახევარი ამომრჩეველი მარტო „ბუდაბარისა“ და „შანგრილას“ დანგრევის მუქარით დაკარგა. „ერთიანი ოპოზიციის“ საარჩევნო ნომერი ადგილობრივ არჩევნებზე 3-ია.

ლორთქიფანიძეს აშკარად არ ეთანხმება **მერაბ კოსტავას საზოგადოების** წარმომადგენელი **გიორგი ლილუაშვილი,** რომელიც აქცენტს სწორედ გეოგრაფიულ მდებარეობაზე აკეთებს — „თბილისი, საქართველოს გული, კავკასიის იმედი“. სრულიად გაუგებარია, მაინც რისი თქმა სურს ამით პარტიას.

სამაგიეროდ, პირველი ნომრით, „ერთიან ოპოზიციას“ წელს **არასაპარლამენტო ოპოზიცია** შეეჯიბრება და დიმიტრი ლორთქიფანიძეს ხმებს **კახა კუკავა** გაუყოფს. კუკავას ლოზუნგია —„აირჩიე ცვლილებები“. ცვლილებებში რას გულისხმობს, არ გვიმხელს, იმედია, საგარეო კურსის ცვლილებას არ გვთხოვს, თუმცა ბევრსაც არაფერს გვპირ-

დება — შეგვიძლია, ფანტაზიას გზა მივცეთ, კუკავა სიტყვაზე დავიჭიროთ და მოგების შემთხვევაში, რაც არ მოგვწონს, ყველაფერი შევაცვლევინოთ. ცვლილებებზეა ორიენტირებული **ქართული პარტიის** ლიდერი **ირაკლი ოქრუაშვილიც**, რომელიც კანდიდატად არ დაარეგისტრირეს, ამიტომ გორის ბედი ახლა კახა ერგემლიძეს უნდა შეაცვლევინოს. უფრო სწორად, ოქრუაშვილი საკუთარ თავს ერგემლიძესთან აიგივებს და აცხადებს, რომ ხალხმა ხმა ბატონ კახას იმიტომ უნდა მისცეს, რომ მერე ირაკლი ვიცემერად დაინიშნოს და გორს ცვლილებები ასე მოუტანოს. თუ ასეთი ცვლილებების გჯერათ, ოქრუაშვილის ლანდადეცეულ ერგემლიძეს საარჩევნო სიაში 14 ნომრად იპოვით.

რაც შეეხება დანარჩენებს, თბილისის მარ-

თვას თავს უჩვენოდ ვერც ისინი გაართმევენ: **„რეფორმატორები“, ირაკლი ღლონტით** სათავეში ამბობენ, **„**ერთად შევცვალოთ რე-



ალობა“. ოღონდ უარესობისკენ თუ უკეთესობისკენ, სხვა საქმეა. უკეთ ჟღერს **„მომავალი საქართველოს“** ლიდერი **გიორგი ლაღიძის** სლოგანი — „ერთად, თბილისის აღმშენებლობისთვის“, მაგრამ არჩევნებში თარსი ნომრით ასპარეზობს, სიაში მეცამეტეა და ბოლოსდაბოლოს, ცნობადობაც აკლია, ღლონტისა არ იყოს. **„საქართველოს გზიდან“** მერობისთვის **მურთაზ მურვანიძე** იბრძოლებს, კარგად აპრობირებული სლოგანით — **„**თბილისი ტყუილის გარეშე“. თუმცა ამ ბოლო დროს, პარტიები რაღაცებისა და ვიღაცების გარეშე ცხოვრებას იმდენჯერ დაგვპირდნენ, ეს სლოგანი აღარ მუშაობს.

ახალი სიტყვა ქართულ საარჩევნო ბრძოლაში წელს რამდენიმე პარტიამ, მათ შორის **საქართველოს პატრიოტთა ალიანსმაც** თქვა. მათთვის ეს პირველი არჩევნებია, თუმცა სარეკლამო ლოზუნგი ბევრ თბილისელს ეცოდინება, ბევრსაც რომელიმე ქალაქური სიმღერის მისამღერში აერევა. „თბილისო,

შენთვის გამოიდარებს“ — გვპირდება ირმა ინაშვილი და ისღა დაგვრჩენია, ვნახოთ, რამდენად გაამართლებს მისი ამინდის პროგნოზი. უდავოდ სახალისოა პარტიის მიერ საკუთარი საარჩევნო ნომრის გასაპიარებლად შემუშავებული ტაქტიკაც — „შემოხაზე რვიანი, რომ არ იყოს გვიანი!“ პოეტთა პარტიას ტოლი არც სერგო ჯავახიძისა და პაატა დავითაიას ბლოკის წევრმა დაუდო. ხელვაჩაურის ქუჩებში ბლოკის „თვითმმართველობა ხალხს“ სახელით ასეთი „პლაკატი“ გამოჩნდა **„შემოხაზე ცხრა, შეიძინე ძმა“!** ამავე პარტიის კიდევ ერთი საინტერესო სლოგანი უკვე თბილისში, მთაწმინდაზე აღმოვაჩინეთ. რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი ლაშა ბრეგვაძე უცერემონიოდ გვარწმუნებს — **„თქვენ მე გჭირდებით“**. მე კი პირიქით მგონია, ეს თქვენ გჭირდებათ ხალხი საკრებულოში მოსახვედრად! ჩემი მეგობარი საკრებულოში კი **ზაზა ჩაჩუა** უნდა გახდეს, რომელიც 26 ნომრით ასპარეზობს. სლოგანიც ზუსტად ასეთია — „თქვენი მეგობარი საკრებულოში“. იღბლიანი საარჩევნო ნომრით 7 და უფლის სახელით, წელს კვლავ **გელა (მიხეილ) სალუაშვილი**



იბრძოლებს, რომლის სლოგანი ჯანდაცვის ანტინარკოტიკულ რეკლამას მაგონებს: „აირჩიე სიცოცხლე, რათა იცოცხლო“, მაგრამ **ლეიბორისტებს** ტოლი არც ახლა ჰყავთ — ისედაც სულ სლოგანებით მოლაპარაკე შალვა ნათელაშვილის კანდიდატს, მსახიობ ასმათ ტყაბლაძეს დაპირებაც ძალიან მაგარი აქვს და სლოგანიც. მოკლედ, მას მერე, რაც „მდიდარს წავართვით და ღარიბს მივეცით“, ქალბატონი ასმათი „რა დროსაც მერი გახდება, ყველანი ვიქეიფებთ“. ხოლო წინასაარჩევნო სლოგანი თუ შემოძახილი ასეთია — **„აბა, თქვენ იცით, თბილისელებო“!**

მაინც რა მნიშვნელობა აქვს საარჩევნო ნომრებსა და სლოგანებს, როგორია საკუთარი თავისა და პარტიის სარფიანად „გასაღების“ წესები „საარჩევნო ბაზარზე“ და ვინ ლიდერობს ამ კუთხით საქართველოში? — „ვერსიისთვის“ ანალიზი საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტმა, **არჩილ გამზარდიამ** გააკეთა: **„ხელისუფლების ლოზუნგი მოკ-**

ლე და სხარტია, მაგრამ ამ სისხარტის იქეთ შინაარსის დეფიციტი იგრძნობა. ზოგადად, ხელისუფლებასაც და ყველა დანარჩენსაც ხალხისთვის სათქმელი აღარაფერი აქვს და მათი სლოგანებიც შესაბამისია. სახელისუფლო სლოგანიც ამორფული და საკმაოდ უშინაარსოა. „ერთად ვიზრუნოთ თბილისზე“ — ეს სლოგანიც იმავე ოპერიდანაა, რომლიდანაც „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“. ძალიან ძნელია, ამ ზმნის ქვეშ მოქალაქეებმა საინტერესო შეტყობინებები ამოკრიბონ. ზოგადად, მრჩება შთაბეჭდილება, რომ პარტიათა უმეტესობას სლოგანი მხოლოდ იმიტომ აქვს, რადგან საჭიროა. რაც შეეხება ნაციონალებს — „ერთად ავამუშაოთ თბილისიც“ დაახლოებით იგივე კონტექსტია, განსხვავება ისაა, რომ, როგორც ოპოზიციური პარტია, ცდილობს, ხელისუფლება ნაწილობრივი დისკრედიტაციის რეჟიმში ამყოფოს. ზმნა „ამუშავება“ გაჩერებული, ამორტიზებული მდგომარეობიდან გამოსვლას გულისხმობს, შესაბამისად, ამით ცდილობენ დაგვანახონ, რომ „ოცნების“ დამსახურებით, ახლა თბილისი გაჩერებულია. ეს ლოზუნგი უფრო ხელისუფლების წინააღმდეგ იმუშავებს, ვიდრე ნაციონალების სასარგებლოდ. ნინო ბურჯანაძის ლოზუნგი — „დროა, მოვაწესრიგოთ თბილისი“ ერთი დიდი გაუგებრობაა. საერთოდ, ის ტონალობა, რომლითაც ბურჯანაძე გვეკონტაქტება, ასოციაციურად, ქვეყანაში სტალინისტური წესრიგის დამყარებასთანაა ახლოს. კარგად თუ დავფიქრდებით, ეს საკმაოდ საშიში სიტყვაც კია. მაგალითად, ჩრდილოეთ კორეაში, ირანში პროცესები მოწესრიგებულია, ევროპაში კი სულ არეულ-დარეულობაა. ჩვენთან წესრიგი უფრო დიქტატთან ასოცირდება და, როცა ამ სიტყვას ვიგებთ, სტალინისტურ-ლენინისტური წესრიგი უნდა გვახსოვდეს. თან ეს ხომ თვითმმართველობის არჩევნებია, ამიტომ არსებული ლოზუნგები ამ კონკრეტული არჩევნების მთავარ თემას არ ერგება. ქალაქებზე, დაბებსა და სოფლებზე საუბრის ნაცვლად, ეს ლოზუნგები საპარლამენტო არჩევნებს უფრო ერგება. იგივეს თქმა შემიძლია კახა კუკავას სლოგანზეც — სიტყვა „ცვლილებები“ ბევრი წელია, სხვადახვა კონტექსტში, სხვადასხვა პარტიის მიერ ტრიალებს. ეს ე.წ. ოპოზიციური სლოგანია და არსებულით უკმაყოფილებას გამოხატავს, ოღონდ კონკრეტული აქაც არაფერი ჩანს. რაც შეეხება მიდგომას „თქვენ მე გჭირდებით“ — ალბათ, მის ავტორს სპეციალისტებმა ურჩიეს, ლიდერმა საკუთარი საჭიროება უნდა გვაჩვენოს, მაგრამ ეს მთელი კონცეფციაა, რაც პირდაპირ წინადადებაში გადაუტანიათ. ეს სლოგანი არაადეკვატურია! ასევე ფრაზა ნათელაშვილის პარტიიდან „აბა, თქვენ იცით, თბილისელებო“, ჩემთვის ძალიან გაუგებარია. არსებობს ღია და დახურული აზრები, ეს აზრი კი მთლიანად ღია და დაუსრულებელია. რაც შეეხება ისეთ სლოგანებს, როგორიცაა „შემოხაზე რვიანი, რომ არ იყოს გვიანი“ და ა.შ. ამას დროსა და ადგილს მხოლოდ თქვენ თუ დაუთმობთ, რადგან არა მგონია, ვინმესთვის საინტერესო იყოს. ეს დაახლოებით იმ ტიპის სლოგანია, როგორიც კოტე ყუბანეიშვილის პატარა ლექსი-მინაწერი სანაგვე ყუთებზე — „მიგვენაგვე-მოგვენაგვე“. ეს მარტივი მესიჯებია, რომელიც შესაძლოა, უკეთეს შემთხვევაში, საზოგადოების ნაწილმა ჩაიჭიროს და ცოტა ხნით აიტაცოს. ხანდახან, ზოგიერთი პიროვნება პოპულარული მხოლოდ თავისი ფრაზეოლოგიით ხდება, მაგალითად, გელა სალუაშვილი. მან მოახერხა და ყველასთვის ცნობილი გახდა. სხვათა შორის, შესაძლოა, ეს ადამიანები სულაც არ ფიქრობენ არჩევნებში გამარჯვებას — უბრალოდ, ყველას თავის ანგარიში აქვს!“

„უკაცრავად, მაგრამ თეთრზე შავს ვერ ვიტყვი“

რა კითხვები აქვს ბიძინა ივანიშვილთან, რა საშიშ ტენდენციაზე საუბრობს და რაში გარკვევას ურჩევს ერს გია ჭანტურია

ირუსუდან შელია
557-100-768

სატელევიზიო სივრცეში ახალი ანიმაციური სერიალი „ქერის უბანი“ გამოჩნდა, რომელსაც „დარდუბალას“ ერთ-ერთი ავტორი სცენარსა და პერსონაჟების სიმრავლეს უწუნებს. არც მედიაში არსებული მდგომარეობითაა აღფრთოვანებული, ჟურნალისტების მიმართ საჯაროდ გამოთქმულ კრიტიკას კი, შემაშფოთებელ ტენდენციად მიიჩნევს. „ვერსიასთან“ მედიაგარემოსა და საგარეო პოლიტიკას საზოგადოებრივი არხის ყოფილი დირექტორი გია ჭანტურია აფასებს.

— საქართველოში სამი ანიმაციური სერიალიდან ორის — „დარდუბალასა“ და „ჩვენი ეზოს“ ერთ-ერთი ავტორი ვიყავი, ახლადშექმნილ „ქერის უბანთან“ კი, არანაირი კავშირი არ მაქვს. მასზე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ კარგი ანიმაცია, მაგრამ ჯერჯერობით, სუსტი სცენარი აქვს. „დარდუბალას“ პრინციპი მასში დაკარგულია. „ქერის უბანი“ პერსონაჟებითაც გადატვირთულია. მსგავსი შინაარსის ანიმაციურ სერიალში გროტესკული მიმართულებისკენ ვიხრები, „ქერის უბანი“ კი, რეალისტური და ზედმეტად პირდაპირია. ამ სერიალზე მუშაობა ჩემთვის არასოდეს შემოუთავაზებიათ, მაგრამ, როგორც მაყურებელი ვფიქრობ, სხვა ფორმა სჭირდებოდა. რეალობის პირდაპირი კოპირება კარგი არ არის. შესაძლოა, ვიღაცას გული მოფხანოს ან ვიღაც აღფრთოვანდეს კიდეც, მაგრამ მსგავს ანიმაციაში სათქმელი უფრო შეფარული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კითხვა ჩნდება, რა საჭიროა საერთოდ ანიმაცია?!

— ანუ „ქერის უბანი“ ცალსახად პროპაგანდისტულია?

— ვერ ვიტყვი, რომ პროპაგანდისტულია, მაგრამ მასში ყველა პერსონაჟი რეალურია. ზოგადად, ყველაფერს შეგვიძლია პროპაგანდისტული ვუწოდოთ, მათ შორის, „მონანიებასაც“ — კომუნისტები ცუდები იყვნენ, მაგრამ ახლა მოინანიეს და კარგები გახდნენო. ლოგიკურად ამის თქმა მაშინ შეიძლებოდა, რადგან ფილმი კომუნისტების პერიოდში გამოვიდა, თუმცა ბუნებრივია, ჩემი განცხადების გამო უამრავი ადამიანი შემეკამათება და მართლებიც იქნებიან.

—ასეთი ანიმაციური სერიალი ხელისუფლებასთან ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად მიიჩნევა. რა გავლენას ახდენს საზოგადოებაზე?

— **„დარდუბალა“** საკმაოდ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში შეიქმნა. მასში რაღაც დოზით იმ ღირებულებების პროპაგანდა იყო, რისთვისაც მაშინდელი „105“-ელებისა და „დარდუბალეღების“ უმრავლესობა იბრძოდა. „ქერის უბანში“ ამ ღირებულებების ნაკლებობაა. „დარდუბალა“ საზოგადოებაში მეოთხე სერიის შემდეგ „აფეთქდა“, ქუჩაში გვაჩერებდნენ და გვამხნევებდნენ — შვილებო, ნუ გეშინიათ, თქვენ გვერდით ვართო. მსგავსი ტიპის სერიალი საზოგადოებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს, თუმცა ამისთვის ხარისხი აუცილებელია.

— მედიაგარემოც შეაფასეთ — ვერ გრძნობთ ამ მიმართულებით ცვლილებებს მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელი აღარ ხართ?

— როცა საზოგადოებრივ მაუწყებელზე საუბრობდნენ, მიკერძოებული ტელევიზიაა, ევროკავშირის დასკვნებს ვახსენებდით, რომლის მიხედვით, საპარლამენტო არჩევნებამდე „პირველი არხის“ საინფორმაციო გამოშვება საერთაშორისო სტანდარტს აკმაყოფილებდა. რამდენიმე დღის წინ, ხელისუფლების პირველი პირებისგან მოვისმინე, წინასაარჩევნოდ მედიაგარემო ევროპელებმა დადებითად შეაფასესო. როგორც ჩანს, ჩვენ დროს სხვა ევროპელები იყვნენ, ახლა სხვები არიან. არადა, ევროპაში არაფერი შეცვლილა, საქართველოსგან განსხვავებით. საკმაოდ საშიში ტენდენცია მკვიდრდება — მთავრობის მაღალჩინოსნები ჟურნალისტებს საჯაროდ აკრიტიკებენ, ჩვენზე რასაც წერთ, არ მოგვწონსო. ბოდიში, მაგრამ ზუსტად 9 წლის განმავლობაში პრესაში ჩემ შესახებ უამრავი სიცრუე იწერებოდა, მაგრამ ხელმძღვანელებს ვურეკავდი და მხოლოდ იმას ვთხოვდი, არასწორი ინფორმაცია გადაემოწმებინათ მაინც. საჯარო განცხადება არც ერთხელ გამიკეთებია. სხვებისგან განსხვავებით თირკმელს არ ვყიდდი, მაგრამ ცრუ ინფორმაციას ჩემზე მრავლად ავრცელებდნენ. ჟურნალისტების მიმართ ხელისუფლების კრიტიკა, პირველ რიგში, ქვეყანას აზარალებს, რადგან საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტები და მედია იმდენად ძლიერი არ არის, ამას შეეწინააღმდეგოს. შესაბამისად, გაჩნდებიან ჟურნალისტები, რომლებიც საკუთარი კომფორტისთვის კრიტიკული ინფორმაციის გავრცელებას მოერიდებიან. რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთ რუსულ ტელეარხზე ამტკიცებდნენ, ყირიმში ზაფხულის სეზონი გაიხსნა და ტურისტების რაოდენობის გამო, სასტუმროებსა და მატარებლებში უკვე ადგილი აღარ არისო. სანაპიროს ფოტოებიც აჩვენეს, სადაც იმდენი ადამიანი იყო, ნემსიც ვერ ჩავარდებოდა. ბუნებრივია ეს ფოტომონტაჟია, რომელსაც რუსეთში ადამიანები იჯერებენ. რეალობა კი განსხვავებულია. თუ ჩვენც გვინდა ასე „ბედნიერად“ ვიცხოვროთ, კი ბატონო, სამგანზომილებაში გაკეთებული ქარხნები ვაჩვენოთ ხალხს. „ბი-ბი-სის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მითხრა, მსოფლიოში არ არსებობს პოლიტიკოსი, რომელსაც ჟურნალისტის საკუთარ ჯიბეში ჩასმის სურვილი არ აქვს, მაგრამ ჩვენ ქვეყანაში ცოტაა ჟურნალისტი, რომელიც ამას დათანხმდებაო. მინდა, ქართულ მედიაშიც მუშაობის იმდენად მაღალი სტანდარტი დამკვიდრდეს, ჟურნალისტებს ვიღაცის სამსახურში ყოფნა არ მოუნდეთ. სამწუხაროდ, საქართველოში მედიას თავად ჟურნალისტები ზღუდავენ.

— საქართველოში ხელისუფლების მიერ მედიის თავისუფლების პირდაპირი და აგრესიული შეზღუდვის მაგალითებიც გვინახავს. როცა საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი იყავით, „იმედში“ სპეცრაზმი შევიდა... ზეწოლის ფონზე არასასურველი სტანდარტი გასაკვირია?

— ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში, „იმედს“, რომელიც ხალხს სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდებდა, სამაუწყებლო სიგნალს გაუთიშავდნენ. ერთ-ერთი ჟურნალისტი ღიად ამბობდა — ნაციონალური მოძრაობის ბრძანებით სპეცრაზმი სამების ეკლესიის დარბევისთვის ემზადება და გავერთიანდეთო. „ბი-ბი-სის“, ბრიტანეთის ტერიტორიაზე დემონსტრაციის დაშლის პირდაპირ ეთერში გადაცემის უფლება არ აქვს. მას ევალება, ყველაფერი გადაიღოს, თუმცა სიუჟეტი მას შემდეგ გაუშვას ეთერში, რაც ვითარება შედარებით დასტაბილურდება. აქციის პირდაპირ ეთერში გადაცემა დანაშაულია, რადგან ამით კონფლიქტის გაღვივებას პროვოცირებ.

— ინფორმაციის დახშვის მომხრე უფრო ხართ, ვიდრე რეალური ფაქტების გაშუქებისა?

— რატომღაც საქართველოში თავისუფლება სხვაგვარად გვესმის. ვიმეორებ, რასაც „იმედი“ მაშინ აკეთებდა, დანაშაული იყო, თუმცა ტელევიზიაში შევარდნა და ჟურნალისტების დარბევა გაუმართლებელია... საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოცხადებულიყო და ეთერში მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებელი გასულიყო, თუმცა მაშინდელი ხელისუფლების რეაქცია აბსოლუტურად არასწორი და გაუმართლებელი იყო. მაშინ ყველამ კარგად იცოდა, „იმედი“ ბადრი პატარკაციშვილის პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა, ამიტომ როცა სამხედრო გადატრიალებისკენ ხალხს მოუწოდეს და შემდეგ ტელევიზიაში სპეცრაზმი შევიდა, მათდამი კოლეგიალობის განცდა არ გამიჩნდა. ერთია კოლეგიალობა, მეორე ქვეყნის დამხობისკენ მოწოდება. ვინც ამ განცხადებისთვის გამაკრიტიკებს, ვურჩევ, „იმედის“ ჟურნალისტების მოწოდებები კიდევ ერთხელ მოისმინოს. ისინი დანაშაულს სჩადიოდნენ.

— დღეს„იმედისთვის“ გადაცემა „ადრენალინს“ ამზადებთ.

— სახელმწიფო გადატრიალების პროპაგანდა ცუდია და, თუ ვინმე არ მეთანხმება, დეტალურად ავუხსნი. „იმედში“ არ ვმუშაობ, ტელეკომპანია პროექტს თავად მიკვეთავს. უკაცრავად, მაგრამ თეთრზე შავს ან შავზე თეთრს, ვერ ვიტყვი. აქციის პირდაპირ ეთერში გაშუქება ევროპული სტანდარტის დარღვევაა და ცივილიზებულ ქვეყნებში კანონითაც ისჯება. არა მგონია, დღეს „იმედის“ ჟურნალისტებმა იგივე გაიმეორონ ან „იმიტირებული ქრონიკა“ მოამზადონ.

— ისევ გაქვთ ბიძინა ივანიშვილთან კითხვები, რის გამოც ერთ-ერთ შეხვედრაზე ღიად დაუპირისპირდით?

— მაქვს, განსაკუთრებით ნატოს-თან დაკავშირებით. მაშინ ვუთხარი — ბალტიისპირეთმა რუსეთთან ურთიერთობა ნატო-ში განევრიანების შემდეგ დაალაგა-მეთქი. მან მიპასუხა, ნატო-ს წევრი ჩვენც გავხდებით და რუსეთთან ურთიერთობასაც დავალაგებთო, თუმცა პირადად ნატო-სკენ წინგადადგმული ნაბიჯი ჯერ არ მინახავს. ხშირად მომისმენია, რა გააკეთა ამერიკამ ან ევროპამ საქართველოსთვისო, მაგრამ ჩვენ თვითონ რა გავაკეთეთ? თენგიზ კიტოვანისმსგავსი ქვეყნის დამანგრევლები დღეს ქუჩაში თავისუფლად გადაადგილდებიან. იმის ნაცვლად, კიტოვანის წინააღმდეგ საქმე აღიძრას, დღეს გვემუქრება პარლამენტს დავშლიო. ვიღაც, ალბათ, ფიქრობს, მისი მუქარა არასერიოზულიაო, მაგრამ სწორედ კიტოვანმა ერთხელ უკვე ხომ დაანგრია ქვეყანა?! ან როცა ერთ თვეში შვიდმა კაცმა ცოლი მოკლა, სად შესასვლელად ვემზადებით?

— ოჯახურ კონფლიქტებშიც ხელისუფლებას ადანაშაულებთ?

— წინა ხელისუფლების დროს, როცა რამდენიმე სუიციდის ფაქტი დაფიქსირდა, მაშინდელი ოპოზიციური პარტიის ლიდერები ამტკიცებდნენ, ეს მთავრობის ბრალია, რადგან ხალხში იმედგაცრუებამ იმატაო. ახლა დასკვნები იმავე ადამიანებმა გააკეთონ. დღეს რუსულ დროშასაც თავისუფლად აფრიალებენ და ხშირად ისმის კითხვა — რუსეთმა ქართველებს რა დაგვიშავაო? სწორედ ის დაგვიშვა, რომ 1801 წლიდან დღემდე, ვერ ვხვდებით რა გაგვიკეთა და დაგვიშავა. 2008 წელს ომი რომ არ დაწყებულიყო, რუსეთს ბორჯომ-ბაკურიანზეც პრეტენზია გაუჩნდებოდა. რუსების უმრავლესობა ურდოს გადმონაშთია, რომელსაც სლავებთან საერთო არაფერი აქვს. ისინი სწორედ მონღოლური ურდოების დამპყრობლურ პოლიტიკას აგრძელებენ. ლერმონტოვმა, რომლის ძეგლიც დღემდე მცხეთაში დგას, ღიად განაცხადა — მიყვარს კავკასია, მაგრამ მეზიზღება ხალხი, რომელიც იქ ცხოვრობს. ყველა უნდა გაწყვიტოთ და ამ ტერიტორიებზე მშვიდად ვიცხოვროთო. ინტელიგენციის წარმომადგენლები დღეს გვიმტკიცებენ, რა შუაშია ხელოვნება და პოლიტიკა ერთმანეთთანო. არადა, ჩვენი პრობლემის სათავე სწორედ ლერმონტოვი და მისნაირები არიან. რუსებს მხოლოდ ტერიტორიების დაპყრობის ამბიცია ამოძრავებთ. ეს საკუთარი თვალით მაქვს ნანახი. უფროსი თაობისგან ხშირად მომისმენია, რუსეთი ერთმორწმუნეა, ევროპა გვრყვნისო. არადა, ეს ის ადამიანები არიან, რუსეთში 37 მანეთად წასვლას დღემდე რომ ნატრობენ — იქ რუსი გენერლების ცოლებთან ვიწექითო. იქნებ ერი კარგად გაერკვეს, ვინ ვის რყვნის. ევროპაში წელსზემოთ შიშველ კაცს ქუჩაში არ გაატარებენ, იქ თითოეული მოქალაქის უფლებებს კანონი იცავს, მაგრამ რატომღაც ქართველებს მუდმივად რაღაცის ფობია გვაქვს. ევროპაში რელიგიაც რუსეთზე ჭეშმარიტია, რუსული ეკლესია კი, ჩვენი ეკლესიისგან განსხვავებით, სულ სხვა მიზნებისთვის შეიქმნა. შესაბამისად, რუსეთში წმინდასაც ვერაფერს იპოვით. პირიქით, პედოფილიასა და ინცესტის მაჩვენებლებით მსოფლიოში პირველ ადგილზე არიან.

— დიალოგისა თუ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით საქართველომ რა მიიღო — ეს კითხვაც ხომ ხშირად გსმენიათ?

— უამრავი საფრთხე არსებობს, თუმცა ვშიშობ, რადგან მთავრობაში წინააღმდეგობის გამწევ ხალხს ვერ ვხედავ. რუსეთთან ამდენ დათმობაზე წასვლა არ შეიძლება. რუსეთს მხოლოდ პრინციპულობა, ძალა და მკვეთრი პოზიცია ესმის. ცოტა ხნის წინ ტელევიზიით განცხადება მოვისმინე, რუსეთმა გაგვაერთიანაო. ბატონებო, შეგახსენებთ — ეს არის ქვეყანა, რომელმაც შეგვიერთა და შემდეგ ჩვენი ტერიტორიებით ივაჭრა — ზოგი თურქეთს გადასცა, ზოგიც სომხეთს და ზოგიც თავისთვის დაიტოვა. დამისახელეთ ერთი რუსი, რომელმაც ქართული ენა ან ქართული ცეკვა და სიმღერა ისწავლა — მათ ქართველები არ უყვართ! მხოლოდ ქართველების ცეკვის ყურება და ლოყაზე ჩქმეტა მოსწონთ. „ბორჯომიც“ იმიტომ უყვარდათ, რომ ეკატერინეს წყალს ეძახდნენ. ამერიკაში კი, ქართული სიმღერის 70-მდე ანსამბლია, სადაც მხოლოდ ამერიკელები მღერიან. ქართულ ენასაც ბევრი სწავლობს, რადგან აღმოაჩინეს, რომ ჩვენ სიტყვებში რაღაც საოცრება ხდება, რისიც უკვე ჩვენც აღარ გვჯერა. კარგად მახსოვს, რუსეთში, „კავეენის“ კონცერტებზე გამოსვლისას წამყვანს ნერვები მოეშალა და გვითხრა — თქვენ კარგი ქართული აქცენტი არ გაქვთ, რუსებს კი, „ტუპავატი გრუზინები“ მოსწონთო. მართლაც, გამოპრანჭული და განათლებული ქართველები რუსეთში არ მოსწონთ, არისტოკრატები ამიტომაც ამოწყვიტეს. ასე რომ, იქნებ, ერი კარგად დაფიქრდეს და ჩამოყალიბდეს — სხვის ცოლებთან კოტრიალი ურჩევნიათ თუ სულიერი ამაღლებისკენ ისწრაფვიან.

ვერსიანიუსი

რუსეთი არ არის დაინტერესებული აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიერთებით

ლონდონში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა BBC-ის კითხვებს უპასუხა და რუსეთთან ურთიერთობასა და მისგან მომდინარე საფრთხეების შესახებ ისაუბრა: **„შეცდომა იქნება აფხაზეთის, „სამხრეთ ოსეთისა“ და ყირიმის შედარება. ამ ორ დე ფაქტო, ე.წ. სახელმწიფოს უნდა დამოუკიდებლობა, რაც რუსეთმა 2008 წელს აღიარა. ეს ორი ტერიტორია საქართველოს ნაწილია. ჩემი აზრით, რუსეთი არ არის დაინტერესებული ამ ორი ტერიტორიის მიერთებით. 2012 წელს, როდესაც მოვედით პოლიტიკაში, შეიცვალა რუსეთთან დამოკიდებულება. რამდენიმე კონსტრუქციული ნაბიჯი გადავდგით, რათა განგვემუხტა დაძაბულობა და წარმატებასაც მივაღწიეთ. საქართველომ დაამტკიცა, რომ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება სურს. ერთი თვის წინ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დაადასტურა, რუსეთი არ აპირებს, ჩაერიოს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესში. ერთი მხრივ, ჩვენ გვინდა ვიყოთ ევროპის ნაწილი და ხელს ვაწერთ ასოცირების ხელშეკრულებას და ამასთანავე, ვახდენთ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას. ვფიქრობ, ვნახეთ იდეალური ბალანსი ამ მიმართულებით“.**

„პირველი“

ბიუჯეტის შედგენის წესი ახალ მუნიციპალიტეტებში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, თენგიზ შერგელაშვილმა სამინისტროს მიერ ახალ თვითმმართველ ქალაქებში გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიში წარადგინა. მინისტრის პირველმა მოადგილემ ახლადშექმნილ მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესის შესახებ ისაუბრა, რომელიც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშავა და საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 30 მაისს უკვე დაამტკიცა.

არსებობს თუ არა საქართველოს ფედერალიზაციის საფრთხე ანუ რა კავშირშია პეკინში წაქცეული ბაღერინა ხორვატია-ბრაზილიის ანგარიშთან?

როგორ გადანაწილდება ქონება ახალ მუნიციპალიტეტებში

თენგიზ შერგელაშვილის განმარტებით, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გასაუქმებელი მუნიციპალიტეტების საკრებულოებს, მათი უფლებამონაცვლე მუნიპალიტეტებისთვის აუცილებელი ნორმატიული ბაზის მომზადებასა და თვითმმართველ ქალაქებსა თუ მუნიციპალიტეტებს შორის ქონების გამიჯვნაში, მეთოდურ დახმარებას უწევს:

„გასაუქმებელ მუნიციპალიტეტებში ქონების ინვენტარიზაცია განხორციელდა და საკრებულოების დროებითმა სამუშაო ჯგუფებმა ქონების გამიჯვნის განკარგულებათა პროექტების მოსამზადებლად, შესაბამისი სამუშაოები ჩაატარეს. ტერიტორიული პრინციპით, თანაბრად გაიყო მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ინვენტარი და სხვა მოძრავი ქონება, რაც კოდექსით დადგენილ მოხელეთა ზღვრული საშტატო რიცხოვნების პროპორციას შეესაბამება. მომავალ თვითმმართველ ქალაქებსა და თვითმმართველ თემებს შორის გადანაწილდა მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირები (ააიპ) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები (შპს), სადაც მუნიციპალიტეტები 100%-იან წილებს ფლობენ. ამჟამად, ქონების დაყოფაზე კონკრეტულ გადაწყვეტილებებს არსებული მუნიციპალიტეტების საკრებულოები იღებენ, სამინისტრო კი მათ, ტრენინგებისა და კონსულტაციების სახით, მეთოდურ დახმარებებს უწევს“.

შერგელაშვილის თქმით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, შეიმუშავა, ხოლო საქართველოს მთავრობამ უკვე დაამტკიცა „ახალი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შედგენის, საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების 2014 წლის ბოლომდე პერიოდისთვის გადანაწილების დროებითი წესი“. ახალი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების პროექტების მომზადებაში, სამინისტრო მეთოდურ დახმარებას უწევს გასაუქმებელ მუნიციპალიტეტებს.

რა პრინციპით შედგება ბიუჯეტები მუნიციპალიტეტებში?

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილმა, „ვერსიას“ საქართველოს მთავრობის ის დადგენილება გააცნო, რომელიც ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 152-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი, ახალი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შედგენის, საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების 2014 წლის ბოლომდე პერიოდისთვის გადანაწილების დროებით წესს ამტკიცებს: **„კოდექსის შესაბამისად, გორის, ახალციხის, მცხეთის, ამბროლაურის, თელავის, ზუგდიდისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების გაყოფის შედეგად, იქმნება ორი, მუნიციპალიტეტის შესაბამისი თვითმმართველი ქალაქი და თვითმმართველი თემი. ეს წესი არეგულირებს გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ხარჯებისა და შემოსავლების გადანაწილებას, გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტებისა თუ პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე განხორციელების ადგილმდებარეობის, ახალი მუნიციპალიტეტების ზღვრული საშტატო რაოდენობის ან მოსახლეობის რაოდენობის პროპორციის გათვალისწინებით“.**

ამ კოდექსის 152-ე მუხლის მეორე პუნქტი ახალ მუნიციპალიტეტებს შორის, გადასახდელების გადანაწილებას განსაზღვრავს, რომლითაც ახალი მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის/მერიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები შემდეგი პრინციპით გადანაწილდება: ა) ახალი მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის/მერიის შრომის ანაზღაურებისთვის საჭირო თანხის განსაზღვრისას, გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის/მერიის შტატით გათვალისწინებული თანამშრომლების შრომის საშუალო ანაზღაურება უნდა გამრავლდეს ახალი მუნიციპალიტეტის ზღვრულ საშტატო რაოდენობაზე. მიღებული თანხა იქნება ახალი მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის/მერიის შრომის ანაზღაურების ერთი თვის ფონდი და თითოეული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, გათვალისწინებული უნდა იყოს არაუმეტეს ექვსი თვის შრომის ანაზღაურება; ბ) იმ შემთხვევაში, თუ გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის მიერ, საკრებულოსა და გამგეობის/მერიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების ფარგლებში, ფინანსური ვალდებულებაა აღებული, შესაბამისი თანხა გათვალისწინებული უნდა იყოს იმ ახალი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რომელსაც „ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესის“ შესაბამისადა, აღნიშნული ვალდებულება გადაეცემა; გ) შრომის ანაზღაურების გარდა, საკრებულოსა და გამგეობის/მერიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა დანარჩენი ხარჯების განსაზღვრისას, გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, საკრებულოსა და გამგეობის/მერიისთვის გათვალისწინებულ თანხას, მუნიციპალიტეტის გაუქმების დღის მდგომარეობით გაწეული საკასო ხარჯი, ასევე ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული თანხა აკლდება და დარჩენილი თანხა ახალ მუნიციპალიტეტებს შორის, ზღვრული საშტატო რაოდენობის პროპორციის გათვალისწინებით იყოფა.

კოდექსის თანახმად, ახალ მუნიციპალიტეტებს შორის შემოსულობების გადანაწილება ხორციელდება იმავე პროპორციით, რომლითაც, საკუთარი შემოსულობების ფარგლებში დაგეგმილი გადასახდელები გადანაწილდება. იმ შემთხვევაში, თუ გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ნაცვლად შექმნილ, რომელიმე ახალი მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბოლომდე დაგეგმილი საკუთარი შემოსულობების გეგმა ვერ შესრულდა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ახალ მუნიციპალიტეტებს გათანაბრებით ტრანსფერს იმ მეთოდით გადაურიცხავს, რომლითაც ორივე ახალი მუნიციპალიტეტის გეგმის მაქსიმალურად თანაბარ შესრულებას უზრუნველყოფს. 2014 წლის განმავლობაში, ახალი მუნიციპალიტეტების მიერ, საკუთარი შემოსულობების ზრდის მიზნით, ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით.

რაც შეეხება გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების გამიჯვნას, ახალ მუნიციპალიტეტებში ქონების გადასახადი იმიჯნება ფაქტობრივი მდებარეობის მიხედვით და მის გამიჯვნას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს; ახალ მუნიციპალიტეტებში სხვა გადასახადები იმიჯნება თანაბრად; რენტიდან მიღებული შემოსავალი მთლიანად უნდა აისახოს ახალი მუნიციპალიტეტის თვითმმართველი თემის შემოსავლებში; ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად აისახება ახალი მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ქალაქის შემოსავლებში; არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები იმიჯნება თანაბრად; ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მიღებული შემოსავლები იმიჯნება თანაბრად; გრანტების გარდა, ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გათანაბრებითი ტრანსფერების გაანგარიშების დროს არ გათვალისწინდება.

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის გამგეობა, 2014 წლის 20 ივნისამდე, ახალი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების პროექტებს მოამზადებს და რეგიონალური განვითარების სამთავრობო კომისიას გაუგზავნის, რომელიც განიხილავს ბიუჯეტის პროექტებს, საჭიროების შემთხვევაში, შეიტანს ცვლილებებს და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გადასცემს. ეს უკანასკნელი, გამგებლის/მერის და შესაბამისი საკრებულოს უფლებამოსილების ცნობიდან ორი დღის ვადაში, ახალ მუნიციპალიტეტს უგზავნის; ახალი მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი, მისი და შესაბამისი საკრებულოს უფლებამოსილების ცნობიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან კონსულტაციის საფუძველზე, ახალი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტს მოამზადებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს; ახალი მუნიციპალიტეტის საკრებულო ბიუჯეტის პროექტს, წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში ამტკიცებს.

საქართველოს ფედერალიზაციის საფრთხე არ არსებობს!

ცალკეული ექსპერტების მოსაზრებით, 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, მივიღებთ რეალობას, როდესაც არ გვეცოდინება, სად ან რომელ შენობაში უნდა განთავსდნენ ახლადარჩეული მერები, გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები. შეიცავს თუ არა თვითმმართველობის ახალი კოდექსი საქართველოს ფედერალიზაციის საფრთხეს? „ვერსიას“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, **თენგიზ შერგელაშვილი** ესაუბრება:

— თვითმმართველობის კოდექსი 2014 წლის თებერვალში მივიღეთ. საქართველოს მთავრობის განკარგულებით, „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ ჩაატარა ტენდერი, შეარჩია საპროექტო ორგანიზაცია, რომელიც გარკვეულ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ატარებს. ახლადარჩეული მერებისა თუ გამგებლების განთავსების პრობლემა არ იქნება, რადგან ზოგან ერთ შენობაში მოთავსდება ქალაქი და მუნიციპალიტეტი, იქ კი, სადაც ამის საშუალებაა — ცალკე. რაც მთავარია, იმის გამო, რომ კანონში საშტატო ერთეულის ზღვრული ოდენობა განვსაზღვრეთ, შტატების რაოდენობა არ მოიმატებს და პრობლემებიც არ შეიქმნება.

— რამდენი რაიონია საქართველოში, სადაც მუნიციპალიტეტის შენობების გარემონტება გიწევთ?

— სარემონტო სამუშაოები ყველგან მიმდინარეობს, თელავშიც, ახალციხეშიც. მაგალითად, ქალაქ გორში, რამდენიმე წლის წინ, დევნილთა და განსახლების სამინისტროსთვის ახალი შენობა აშენდა, რომელიც ახლა დაკეტილია. ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, ვფიქრობთ, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა და გუბერნატორის აპარატი სწორედ ამ ახალ შენობაში გადავიდეს, რასაც უახლოეს მომავალში გადავწყვეტთ.

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ახალ მუნიციპალურ ერთეულში მთავარი პირი ვინ არის — მერი, გამგებელი თუ საკრებულოს თავმჯდომარე?

— ქალაქის საკრებულო და გამგეობა სულ სხვა სტრუქტურაა, ხოლო მუნიციპალიტეტს თავისი გამგებელი და საკრებულო ჰყავს და მათ ერთმანეთთან კავშირი არ აქვთ. რაც შეეხება თვითმმართველ ქალაქს, კოდექსის მიხედვით, უმაღლესი თანამდებობის პირი ქალაქის მერია, ხოლო მუნიციპალიტეტში — გამგებელი.

— ექსპერტთა მოსაზრებით, უკრაინის მოვლენების შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში საქართველოს ფედერალური დაშლის საშიშროება დევს...

— ერთი კვირის წინ, პეკინში, სპექტაკლის დროს, ბალეტის მოცეკვავე წაიქცა და ამიტომ დღეს, ხორვატიის ნაკრები მოუგებს ბრაზილიას! რა კავშირიც ამ ორ მოვლენას შორის არსებობს, ზუსტად იგივე კავშირია კოდექსსა და საქართველოს ფედერაციებად დაშლას შორის. კანონში მხოლოდ მუნიციპალიტეტებზეა საუბარი, ერთადერთი, გუბერნატორთან იქმნება საკონსულტაციო საბჭო, რათა ორ თვეში ერთხელ შეიკრიბონ და კონსულტაციები გაიარონ, რომ გუბერნატორი ერთპიროვნულ მმართველად არ ჩამოყალიბდეს. მეტიც, კოდექსში რეგიონებთან მიახლოებულიც კი არაფერია ჩადებული, მხოლოდ ცალკეული ეკონომიკური ფუნქციების სამხარეო დონისთვის გადაცემას ვგეგმავდით, მაგრამ ესეც შევარბილეთ. რაც მთავარია, ყველაფერი ცენტრალურ ხელისუფლებასთანაა მიბმული და ამას ფედერალიზაციასთან არანაირი კავშირი არ აქვს!

ვერსიანიუსი

შსს-მ ე.წ. ბიოს შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული ლუკა ს. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 135 ცალი ფირფიტა ე.წ. ბიო, ელ-ეს-დე-ს ანალოგი ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ფენეთილამინის ქიმიურ ნაერთთა კლასს მიეკუთვნება.

გამოძიება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები
2014 წლის 15 ივნისი

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

კენჭისყრა იმართება 08.00 საათიდან 20.00 საათამდე



კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) ან პასპორტი და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა

თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება



მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი

გაიკეთეთ მარკირება



ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენები



კენჭისყრის კაბინაში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი (ყოველ საარჩევნო ბიულეტენში)

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, დამკვირვებლისა

თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი



კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენები მოათავსეთ მასში

სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

ცესკოს ცხელი ხაზი: 2510051

საზამთროსა და ნესვის „დღესასწაული“ რუსთავის ციხეში

როგორ გაუნაწილა მცირე მოსავალი გორელმა ბუზამ 1300 პატიმარს და როგორ დასაჯეს იგი მინის დამუშავების გამო



ПАТИМАРИ №0578

რუსთავის №17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 8 მარტს ზეიმობდნენ. ზეიმი ერქვა, თორემ ზონაზე ყველა დღესასწაული ჩაითა და ყავით აღინიშნებოდა და შიგადაშიგ, ვინმე ციხეში დამზადებულ „ბრაგას“ თუ შეაპარებდა. დილის 12 საათზე ტელეფონებთან რიგი იდგა, ვიღაც ცოლს ურეკავდა, ვიღაც დედას, ვიღაცები შეყვარებულებს და ქალთა დღეს ულოცავდნენ. ვისაც დასარეკი არსად ჰქონდა ან უკვე დაერეკა, საკნებში იყვნენ და ჩაის წრუპავდნენ... გორელი ბუზა (მეტსახელი გვარის გამო შეარქვეს), 67-ე საკანში შევიდა და ერთ-ერთ პატიმარს ნარზე ჩამოუჯდა. ჯერ ჩაი მოწრუპა, მერე ანეკდოტი მოჰყვა, ბოლოს კი „კოლეგას“ ახლოს მიუჩოჩდა და საიდუმლო ხმით უთხრა:

— მაყურებლებთან უნდა მიმეგზავნო და იცოდე, უარი არ მითხრა.

— რა გინდა მაყურებლებთან, ან შენ რატომ არ მიდიხარ?

— ხომ იცი, მთელ ზონაზე მიწა არსად არის, მიწაზე ფეხის დადგმა გვენატრება, სულ რკინა-ბეტონში ვართ და...

— რატომ სულ რკინა-ბეტონში? აგერ, გვერდით, სტადიონის ბოლოს კი არის პატარა მიწა და იარე, ბუზა, ვინ დაგიშალა...

— 6 კვადრატული მეტრია, გუშინ გავზომე. ჰოდა, სწორედ ეს მიწა მინდა და ამიტომ უნდა მიხვიდე მაყურებლებთან.

— შენ მაყურებლები საჯარო რეესტრის თანამშრომლები ხომ არ გგონია, მიწა რომ დაგიმტკიცონ?

— არა, უფლება მომცენ, რომ დავამუშაო.

— რას ამბობ, ბუზა, გარკვევით მითხარი...

— მე ჯართის მოპარვის გამო ვზივარ, ისე კი მთელი ცხოვრება მიწაზე ვმუშაობ. ჩემებს დავურეკავ და ტანსაცმელს რომ შემომიგზავნიან, სადმე საზამთროსა და ნესვის თესლს ჩააკერებენ. დავამუშავებ მიწას, დავთესავ, მოვუვლი და საზამთრო და ნესვი გვექნება. სწორედ ამის უფლებას ვითხოვ, მაგრამ მაყურებლების გარეშე ეს არ გამოვა.

პატიმარი უხმოდ წამოდგა, ბუზას ხელი გადახვია და მეორე საკნისკენ დაიძრა. ზონის მაყურებლები სწორედ მეორე საკანში ისხდნენ. კარი მძიმედ გაიღო. ზონის მაყურებელი, კორპუსის მაყურებელი, რეგიონის რამდენიმე მაყურებელი ჩაის სვამდა.

— შემოდი, სვანი, შემოდი... ეს ვინ მოგვიყვანე? ბუზაა? რა ხდება, ხომ არ გაგაბრაზა ვინმემ?

— ბიჭებო, ამ კაცს იმ მიწის დამუშავება და საზამთროს და ნესვის დათესვა უნდა. თქვენგან თანხმობას ელის და დანარჩენი ამაზეა. არ არის ცუდი იდეა, მართლა რკინა-ბეტონში ვართ და იმ მიწის ნაგლეჯზე სიმწვანე თუ იქნება, ნერვებზეც კარგად იმოქმედებს და ზოგადად, კარგი იქნება.

ყველამ ზონის მაყურებელს შეხედა. ისიც ჩაფიქრდა, თვალები მოჭუტა და მერე ბუზას მიუბრუნდა.

— და მაგ მიწაზე რამდენი საზამთრო და ნესვი მოვა?

— დავთესავ და უნდა მოისხას. მოვუვლი, სასუქად გამოყენებული ჩაის ნარჩენს გამოვიყენებ, ძალიან კარგია.

— გააკეთე, მაგრამ იცოდე, ათი საზამთრო მოვა თუ ერთი, მზარეულს ვეტყვით და 1300 ნაჭრად უნდა დაჭრას, ყველას რომ ერგოს თითო ნაჭერი. აქ ხალხი 10-15 წელია ზის და საზამთროსა და ნესვის გემო არც ახსოვს.

— თქვენ გაიხარეთ, ბიჭებო, — თქვა ბუზამ და კამერიდან შურდულივით გავარდა.

დაახლოებით ერთ თვეში ზონაში არსებულ 6 კვადრატულ მიწაზე საზამთროსა და ნესვის ფოთლებმა ამოყო თავი. საქმეში მთელი ზონა ჩაერთო, დილით ყველა ნერგების სანახავად მიდიოდა და ბუზაც ბუზღუნს უმატებდა, არ შეეხოთ, არ გამიფუჭოთ, თქვენ არ იცითო... საბოლოოდ, მორწყვა ბუზამ აიღო თავის თავზე, ვიღაცას დილაობით ფოთლების გაწმენდა ერგო, ვიღაც მიწას აფხვიერებდა და ჯამში, სამი საზამთრო და ორი ნესვი შერჩათ.

1300 პატიმარი მოუთმენლად ელოდა ნაყოფის დამწიფებას. ყველამ იცოდა, მზარეული გაფრთხილებული იყო და საზამთროცა და ნესვიც 1300 თანაბარ ნაჭრად უნდა დაეჭრა. ივლისის ბოლოს ბუზამ მეორე საკნის კარი ისევ შეაღო და მაყურებლებს ამაყად განუცხადა: ხვალ მზარეულს უთხარით, რომ ნესვებსა და საზამთროებს მივუტანთ და დაჭრას. მაყურებლებმა ღიმილით შეხედეს და თავი უხმოდ დაუქნიეს.

საღამოს ზონა დაიკეტა და ყველამ იცოდა, რომ მეორე დღეს მცირე ზეიმი იქნებოდა. არც ერთ სხვა ზონაზე ნესვი და საზამთრო არ ჰქონდათ, რუსთავის მე-17-ში კი იყო, თუმცა...

ღამის 2 საათზე პატიმრები მანქანების გუგუნმა გააღვიძა. როგორც წესი, ასეთ დროს ზონაზე სამარისებური სიჩუმეა. ყველა ფანჯარასთან მივიდა. ვახტის ჭიშკარი ხმაურით გაიღო და ზონის ტერიტორიაზე კამაზის მარკის ორი მანქანა გრუხუნით შემოვიდა. ორივე მანქანა ხრეშით იყო დატვირთული. მანქანები იმ ადგილისკენ დაიძრნენ, სადაც ნესვი და საზამთრო ეთესა. პატიმრებს სუნთქვა შეეკრათ. 6 კვადრატულ მეტრს მანქანები ორი მხრიდან მიუახლოვდნენ, შემდეგ ნელა ასწიეს საბარგულები და ორი კამაზი ხრეში სამ საზამთროსა და ორ ნესვს ზემოდან დააყარეს. ხრეშის გროვასთან ზონის უფროსი, ლაშა ბრეგვაძე მივიდა, გარშემო შემოუარა, მაღლა აღმართული ცერა თითი დაანახა მძღოლებს და მანქანებმა ზონის ტერიტორია დატოვეს.

მეორე და მესამე დღეს ზონა არ გაუღიათ და პატიმრები საკანში ისხდნენ, მეოთხე დღეს კი ხრეშის გროვასთან მთელი ზონა მოგროვდა. ხმას არავინ იღებდა, მხოლოდ ბუზას სლუკუნი ისმოდა. მოულოდნელად, ბუზა ადგილს მოსწყდა, ადმინისტრაციის შენობისკენ გავარდა და ბოლო ხმაზე იღრიალა — ლაშა ბრეგვაძე, შენი ოჯახი...

იმავე ღამეს გორელი პატიმარი ბუზალაძე მე-17 ზონიდან წაიყვანეს და სასჯელის მოხდა ე.წ. კრიტში, მეექვსე დაწესებულებაში მოუხდა.

„გამოიძიონ რატომ მიიღეს დაბალი ქულები წარჩინებულებმა და აგონ პასუხი დამნაშავეებმა“

განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორებას, განათლების ცენტრის გაკონტროლებას ან გაუქმებას ითხოვს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

საჯარო სკოლებში გამოსაშვებ გამოცდებთან (CAT) დაკავშირებით განსხვავებული შეფასებები კეთდება. გამოცდების ეროვნული ცენტრი მიღებული შედეგით კმაყოფილია და სისტემის გაუმართაობაზე ბრალდებას უარყოფს, რასაც ვერ ვიტყვით მოსწავლეებისა და ექსპერტთა ნაწილზე. „ვერსია“ „განათლების ლიგის“ ხელმძღვანელს, მანანა ნიკოლაიშვილს ესაუბრა.

— ქალბატონო მანანა, როგორ ჩატარდა მე-12 კლასელთა გამოსაშვები გამოცდები?

— გამოსაშვებ გამოცდებთან დაკავშირებით, გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორს, მაია მიმინოშვილს არაადეკვატური პასუხები აქვს. ამბობს, ყველაფერი ჩვეულებისამებრ იყოო, რაც ტყუილია — წარჩინებულ მოსწავლეებს მისმა პროგრამამ 6-დან 8 ქულამდე დაუწერა, იშვიათად წერდა ათიანებს. უცხო ენაშიც, ინგლისურენოვანმა ბავშვებმაც კი, დაბალი ნიშნები მიიღეს; მსოფლიო და ევროპულ ტურნირებზე თუ კონკურსებში გამარჯვებულებმა მიიღეს ამ ოთხ საგამოცდო საგანში ექვსი და შვიდი ქულა. რასაკვირველია, არიან ჩაჭრილებიც. ეს ბუნებრივია — სადაც გამოცდაა, იქ ჩაჭრილებიც იქნებიან. იმაზე ვდავობ, რომ წარჩინებულმა მოსწავლეებმა ძალიან დაბალი ნიშნები მიიღეს.

— თქვენი შეფასებით, წარჩინებულებს დაბალი ქულები რატომ დაუწერა პროგრამამ?

— გამოცდების ეროვნულ ცენტრს სახელმწიფო არ აკონტროლებს. ეს ქართული კანონმდებლობის ხარვეზია. კანონში ცვლილება შეიტანეს, რომ პრემიერ-მინისტრთან უნდა შეთანხმდეს ცენტრის ხელმძღვანელის კანდიდატურა. თუ პრემიერს უთანხმებ დანიშვნა-გათავისუფლების საკითხს, რატომ არ შევიდა კანონში ცვლილება, პრემიერ-მინისტრის დონეზე მუდმივმოქმედი კომისია შექმნილიყო და პროფესიონალებით დაკომპლექტებულს ეს დარგი გაეკონტროლებინა? ამ კომისიაში უნდა ყოფილიყვნენ რვა საგნის ცნობილი ექსპერტები და ფსიქოლოგები, ასევე ტესტების ხარისხის დამდგენი სპეციალისტები. გამოსაშვები გამოცდები ისე ჩაატარეს, ტესტების ხარისხზე სახელმწიფოში დასკვნა არ დევს. არადა, არსებულ ტესტებზე სამინისტროს საგნობრივი ექსპერტების დასკვნები აუცილებლად უნდა იდოს.

— და რატომ არაა ეს დასკვნები გაკეთებული?

— იმიტომ, რომ ესეც კანონმდებლობის ხარვეზია. პრემიერის დონეზე რომ შექმნილიყო მუდმივმოქმედი კომისია, მიმინოშვილი მას დაემორჩილებოდა, სამინისტროს კი, როგორც ფაქტობრივი მასალებიდან ჩანს, არ ემორჩილება, მაგრამ ვიმეორებ — ეს საკანონმდებლო ხარვეზის შედეგია. მიმინოშვილი დასკვნებს არ იძლევა, ამბობს, კონფიდენციალურიაო. რას ჰქვია კონფიდენციალური? თვითონ ინახავს და სახელმწიფო, სამინისტრო, კონფიდენციალურ ინფორმაციას ვერ შეინახავს? ან როგორ შეიძლება, ასეთ ადგილზე, სადაც კორუფციის საფრთხე დიდია, ერთი და იგივე ადამიანები და ექსპერტთა ჯგუფი 14 წელი მუშაობდეს? როგორ, ამდენი დაბალი ნიშანი რომ დაიწერა, სახელმწიფო არ არის ვალდებული, კომისია დანიშნოს და გამოიკვლიონ საკითხი? წესით, ყოველთვის ასე ხდებოდა, წარჩინებული ბავშვი გამოსაშვებ გამოცდაზე დაბალ ნიშანს თუ მიიღებდა, სამინისტროში იბარებდნენ, სკოლას, დირექტორს, საგნის მასწავლებელს პასუხი უნდა ეგო, რატომ მიიღო ბავშვმა ასეთი დაბალი შეფასება. თუ ვერ დაასაბუთებდნენ, თანამდებობიდან ხსნიდნენ. ეს ხომ ელემენტარული პასუხისმგებლობის საკითხია — ნიშნები გაყალბებულია, ან სკოლამ გააყალბა ან გამოცდების ცენტრმა, შუალედი არ არსებობს. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, ეს გამოცდები უხარისხოდ ჩატარდა. მიმინოშვილი ამბობს, რომ სკოლებმა გააყალბა ნიშნები. გამოარკვიონ, ვინაა მართალი. მეფე შიშველია, ჰა ბურთი და მოედანი. პრობლემაა ისიც, რომ არც მასწავლებელმა, არც დირექტორმა და არც მშობელმა იცის შეფასების კრიტერიუმები. მინისტრის ბრძანებით, ნორმატიული აქტი უნდა დაემტკიცებინათ, მაგრამ რეალურად, გამოცდა ამის გარეშე ჩატარდა, ამიტომ ეს გამოცდები საერთოდ გასაუქმებელია და უნდა დადგეს კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი. კეთილი ინებოს ხელისუფლებამ და, ეს საქმე გამოიძიოს. საბოლოოდ, თუ სახელმწიფო ვერ შექმნის გამოცდების ეროვნული ცენტრის კონტროლის სათანადო მექანიზმს, სჯობს, საერთოდ გააუქმოს ეს ცენტრი. ასე ბევრ უსიამოვნებას აიცილებს თავიდან და თანხებსაც დაზოგავს — მარტო CAT-ის (გამოსაშვები) გამოცდები ათეულობით მილიონი ლარი ჯდება. ეს ფული ბიუჯეტიდან იხარჯება და სჯობს, სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას მოხმარდეს, რაც განათლების ხარისხს აამაღლებს.

— გამოცდებზე ჩაჭრილ მოსწავლეებს რა ბედი ელის?

— უსამართლობაა, რომ საქართველოში, ჩაჭრილ მოსწავლეებს ერთ წელს აცდევინებენ, რატომ არ შეიძლება გონივრულ ვადაში დაინიშნოს გამოცდები? მაგალითად, ერთი ან ორი თვის შემდეგ. რა საჭიროა, ახალგაზრდა ერთი წელი მოვწყვიტოთ აქტიურ ცხოვრებას, წინსვლასა და პროგრესს? არ მესმის, ეს ვის რაში სჭირდება.

— თქვენი პროგნოზით, ერთიან ეროვნულ გამოცდებზეც იქნება გარკვეული პრობლემები?

— ამ გამოცდებზე მოველი ურთულეს ტესტებს, უდაბლეს ნიშნებს და ბევრ ჩაჭრილ აბიტურიენტს. „ქათის“ გამოცდები ერთიანი ეროვნული გამოცდების შესავალი იყო და ხელისუფლებამ ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს.

სუდოკუმანია

ადვილი

7		6	3			4		
			4		1		7	
		1	8				9	
							5	9
6	9	2				7	1	8
8	7							
	1				7	9		
	3		1		8			
		7			4	1		5

სტანდარტი

		4				2		
	7		8					9
							3	5
8		3	7		1		6	
		5		4		3		
	1		9		6	5		8
7	8							
3					9		4	
		9				8		

რთული

	9						3	
5					6			
		1	2	9	8			
		6	5			7	9	
2			8		7			6
	1	4			3	5		
			4	3	2	8		
			6					2
	2						5	

ექსპერტი

4					1			
		1		8	5	4	3	
	2	8	9					
							6	4
		9	5		7	3		
7	4							
					9	8	5	
	1	5	7	3		2		
			8					3



ბრიტანელებმა მფრინავი სავარძელი შექმნეს

უახლოეს თვეებში დიდი ბრიტანეთის მაღაზიებში გაიყიდება სავარძელი, რომელიც ადამიანს სახლის პირობებში უწონობის მდგომარეობას განაცდევინებს. ავეჯის გამომგონებელი კეიტ დიქსონი ამტკიცებს, რომ ამ სიახლეზე შეკვეთას უკვე მთელი მსოფლიოდან იღებს. სავარძელი, რომელსაც „ლუნგერი" უწოდეს, გამჭვირვალეა და მაგნიტებია მიმაგრებული, რომლებიც სავარძელს სადგამიდან 35 სანტიმეტრის სიმაღლეზე სწევს და შეუძლია 120-კილოგრამიან ადამიანს გაუძლოს. სავარძლის დიზაინზე 4 წელიწადს მუშაობდნენ და ათობით დოლარი დაიხარჯა. დიქსონი ამტკიცებს, რომ ასეთი უჩვეულო ავეჯის შექმნისკენ „ვარსკვლავური ომების" სატრანსპორტო საშუალებამ უბიძგა. სავარძლის ნეგატიურ მხარეს წარმოადგენს მაგნიტური ველების გავლენა სატელევიზიო სიგნალზე, ასევე მათ შეუძლიათ საკრედიტო ბარათების მუშაობაც შეაფერხონ.

ბაზრობაზე ცოცხალი მანეკენი დაიქირავა

ერთმა გამჭრიახმა ჩინელმა გამყიდველმა საკუთარ სავაჭრო ადგილთან რიგი დააყენა მას შემდეგ, რაც საკუთარი პროდუქციის რეკლამირებისთვის ცოცხალი მანეკენი დაიქირავა. ჰუბეის პროვინციის ქალაქ ტანგშანის ბაზრობაზე უამრავი ადამიანი იკრიბება, ამ გაბედულ მოვაჭრესა და მის მოდელს ფოტოებს უღებენ და რასაკვირველია, სოციალური ქსელითაც ავრცელებენ, რამაც გაბედული ჩინელის წისქვილზე დაასხა წყალი: ბაზრობაზე მის დახლთან ცნობისმოყვარეების რიგი დადგა და ვაჭრობის საქმეც კარგად წავიდა — გაყიდული საქონლის რაოდენობა ორჯერ გაიზარდა.

ჩინელებმა ელვის დაჭერა ისწავლეს

ჩინელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა, ელვის ენერგია სამეცნიერო და საწარმოოო მიზნისთვის გამოიყენონ. პეკინის ატმოსფერული ფიზიკის ინსტიტუტის სწავლულების თქმით, ამ ტექნოლოგიით ელვას ჰაერში „იჭერენ" და მისი „გადამისამართება" ხდება კოლექტორებში, რომელთაც კვლევებისთვის იყენებენ. ელვის „დასაჭერად" გამოიყენება სპეციალური რაკეტები, რომელსაც საავდრო ღრუბელს ესვრიან. რაკეტამ სტარტი გაელვებამდე რამდენიმე წუთით ადრე უნდა აიღოს, ელვის ენერგიასა და მის მიერ წარმოებულ ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას კი სასოფლო-სამეურნეო ჯიშების გენური მოდიფიკაციისა თუ ნახევარგამტარების წარმოებისთვის გამოიყენებენ. გარდა ამისა, ახალი ტექნოლოგია მნიშვნელოვნად შეამცირებს ჭექა-ქუხილისგან მიყენებულ ეკონომიკურ ზარალს, რადგან სარაკეტო დარტყმას უსაფრთხო ადგილას განახორციელებენ. სტატისტიკის მიხედვით, ყოველწლიურად ჩინეთში ათასამდე ადამიანი იღუპება, ეკონომიკური ზარალი კი წელიწადში 143 მილიონ დოლარს აღწევს. ჩინელი სწავლულები ცდილობენ, გაელვება ენერგეტიკაშიც გამოიყენონ. მეცნიერთა მონაცემებით, ერთი გაელვებისგან მილიარდი კილოვატი ელექტროენერგია იწარმოება, მსოფლიოში კი ყოველ წამს 100 ასეთი ფაქტი ხდება.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	2	7	6	4	1	8	9	3
4	9	8	3	2	7	1	6	5
6	3	1	5	8	9	7	4	2
3	6	5	4	1	2	9	8	7
9	8	4	7	6	5	3	2	1
1	7	2	9	3	8	6	5	4
8	1	6	2	7	4	5	3	9
2	5	3	1	9	6	4	7	8
7	4	9	8	5	3	2	1	6

სტანდარტი

3	5	9	2	8	7	6	1	4
6	4	1	9	5	3	2	8	7
2	8	7	1	4	6	5	9	3
1	9	8	7	6	5	4	3	2
5	3	2	8	1	4	7	6	9
4	7	6	3	2	9	1	5	8
9	6	5	4	7	8	3	2	1
8	2	4	5	3	1	9	7	6
7	1	3	6	9	2	8	4	5

ადვილი

5	6	3	7	4	2	1	9	8
1	8	2	5	9	3	4	7	6
9	4	7	1	8	6	5	3	2
2	5	4	6	7	1	3	8	9
3	9	6	8	5	4	7	2	1
8	7	1	3	2	9	6	5	4
4	3	8	9	1	7	2	6	5
7	2	5	4	6	8	9	1	3
6	1	9	2	3	5	8	4	7

სტანდარტი

3	9	8	6	7	5	4	2	1
4	2	1	9	3	8	7	6	5
7	6	5	4	2	1	3	9	8
2	1	6	8	4	9	5	3	7
8	4	3	7	5	6	2	1	9
5	7	9	3	1	2	8	4	6
1	8	2	5	6	3	9	7	4
6	5	7	2	9	4	1	8	3
9	3	4	1	8	7	6	5	2

რთული

9	2	5	1	4	6	3	8	7
3	1	8	9	2	7	6	5	4
6	7	4	8	5	3	1	2	9
7	3	2	6	9	4	5	1	8
5	9	6	7	1	8	4	3	2
4	8	1	5	3	2	9	7	6
2	5	9	4	7	1	8	6	3
1	6	7	3	8	9	2	4	5
8	4	3	2	6	5	7	9	1

ექსპერტი

1	8	2	5	9	4	7	6	3
9	6	7	3	2	1	8	5	4
3	5	4	8	7	6	2	1	9
4	3	6	2	8	9	5	7	1
2	1	5	7	4	3	6	9	8
8	7	9	1	6	5	4	3	2
7	4	3	9	5	2	1	8	6
5	2	1	6	3	8	9	4	7
6	9	8	4	1	7	3	2	5

რთული

1	5	3	4	8	9	6	2	7
2	9	8	1	7	6	5	4	3
7	6	4	5	2	3	1	8	9
8	3	2	9	5	4	7	1	6
9	7	1	3	6	2	8	5	4
6	4	5	8	1	7	3	9	2
5	2	6	7	4	1	9	3	8
4	1	9	6	3	8	2	7	5
3	8	7	2	9	5	4	6	1

ექსპერტი

2	3	1	7	6	9	8	5	4
6	8	9	5	2	4	3	1	7
5	7	4	1	8	3	2	6	9
9	5	3	2	4	6	7	8	1
4	6	8	9	1	7	5	3	2
1	2	7	3	5	8	9	4	6
7	4	6	8	3	2	1	9	5
8	1	2	6	9	5	4	7	3
3	9	5	4	7	1	6	2	8

მე-10 გვერდი: 1. ზიპი; 2. მარჯანი; 3. ადვოკატი; 4. ჯორკაეფი; 5. ნიელო; 6. ტაბურეტი; 7. არსი; 8. ურალი; 9. ენდოკრინოლოგია; 10. ივერიელი; 11. ვნებითი; 12. ტვისტი; 13. რეა; 14. ისლანდია; 15. ვაიო; 16. სასო; 17. იფრინდა; 18. ხიხინი; 19. ვისკი; 20. შალი; 21. ეკვატორი; 22. ვენა; 23. ნაირობი; 24. არფა; 25. ანთრაციტი; 26. ხმა; 27. რისვი; 28. შტეფი; 29. იყალთო; 30. „ასტუდიო"; 31. იუნესკო; 32. ხბო; 33. ონი; 34. ონო; 35. ნერბი; 36. იბისი; 37. ტყვია; 38. ტანძია; 39. ბაუნტი; 40. აშდოდი; 41. იონი; 42. ძუ; 43. დასტინ; 44. ნუ; 45. შილდა; 46. ნათლია; 47. ლია; 48. ლიონ; 49. ცრუ; 50. გრო; 51. იტი; 52. ბოთლი; 53. ტირე; 54. დაიმი; 55. ბაო; 56. ცირკი; 57. ბასტიონი; 58. აი; 59. როგორ; 60. აგრა; 61. ელ; 62. სილა; 63. ბილბაო.

1. დაბა გურიის მხარეში
2.მუსიკოს-მომღერალი, პოეტი
3. ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანა
4.ქართული მონასტერი ისტორიულ კლარჯეთში
5. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
6. ვაჟა-ფშაველას პოემა
7. ცოლის დედა
8.საბერძნეთის ადმინისტრაც.-ტერიტორიული ერთეული
9.წინასწარი განცხ. მომავალი კონცერტის შესახებ
10. ქართული ხალხური სიმღერა
11. ყველაზე პატარა კონტინენტი
12. „ადგილობრივი" ცხოველი ან მცენარე
13. ამსტერდამის საფეხბურთო კლუბი
14. სევილიელი დალაქის სახელი
15.აბრეშუმის ჭიის საყვარელი მცენარე
16. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა
17. სიგრძის საზომი ერთეული ძვ. საქართ.
18. წყალქვეშა კლდე
19. ადამიანის გამოსახულება მკერდამდე
20.გერმანელი ელექტრო-ტექნიკოსი და მეწარმე
21. ინის საპირისპირო ცნება
22. მაგარი ქანი
23. მოჭ-ადრაკე ... ჩიბურდანიძე
24. თურქული ტელესერიალი
25. თურქეთის ფულის ერთეული
26. დიდი ზომის მღრღნელი
27. მდინარე პოს შენაკადი
28. ინდოელი პოლიტიკოსი
29. „მექანიკური ადამიანი"
30. ფრანგული მავყურძნიანი ვაზის ჯიში
31. „სათვალიანი" გველი
32. სამხრეთ ამერიკული ნიანგი
33. ინგლისური ტრადიციული ლუდი
34.წარსულში ცნობილი შვედური კვარტეტი
35.სამთო-სათხილამურო კომპლექსი ყაზახეთში
36. პატარა ჩანთოსანი ცხოველი
37. იგივეა, რაც სასტუმრო
38. კომბოსტოს ნაირსახეობა
39. ტბა ფინეთში
40.როკ-ჯგუფ „კინოს" ლიდერი
41.მდინარე ურალის ძველი სახელწოდება
42. ძროხის ნობათი
43. ჩაის დეგუსტატორი
44.სიგიჟის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
45. ზაზას გვარი „თეთრ ბაირაღებში"
46. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია
47. ზრდილობ. მიმართვის ფორმა იაპონიაში
48.სრუტე ინგლისსა და საფრანგეთს შორის
49.სისხლძარღვის კედლის შიგნითა გარსი
50. რუსების „ვაშა"
51. ზღაპრული შინაარსის იგავი
52. თოვლის კაცი
53. პატარა ტყე მინდორში
54. უმარილო ხმიადი, რომელსაც ებრაელები რელიგიური ჩვეულების მიხედვით აკეთებენ
55. ტაივანის დედაქალაქი
56. ზამბიის დედაქალაქი
57. მძარცველი, ყაჩაღი
58. თვლებიანი მომცრო საზიდარი
59. ერთეულოვანი ვექტორი
60. ჰოლივუდის ვარსკვლავი უილ ...
61. განაყოფიერებული კვერცხუჯრედი
62. მადამ ბოვარის სახელი
63. ისრაელის წარმოების ავტომატი
64.იტალიელი დიზაინერი ერმენეგილდო ...
65. იაპონური თეატრის სახეობა
66. ქვეყანა აფრიკაში
67. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია
68. თეატრის კოლექტივი
69. ქართული სპორტული გაზეთი
70.გერმან. კოსმ. ფირმა
71. გემის მზარეული
72.ამერიკელი მომღერალი და მსახი-ობი ქალი
73. მხარე, მიდამო
74.ელექტრობის წინაღობის საზომი ერთეული
75. თმის მცენარეული საღებავი
76. ეკლერის „ბიძაშვილი"
77. შინაური ცხოველი
78.იატაკზე დასაგდომი ბალიში იაპონიაში
79. გარმონის ტიპის საკრავი
80. სასწორის თეფში
81. პატარა რესტორანი ესტრადით
82. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
83. ვაჟა ზაზაევიჩის როლის შემსრულებელი „ცისფერ მთებში"
84. გათხოვილი ქალისადმი მიმართვა სკანდინავიის ქვეყნებში
85. ხვადის საირისპირო სიტყვა
86. ღვინის ობი

სწრაფად დაბერების მიზეზი იპოვეს

ადამიანის დაბერების პროცესს სერიოზულად აჩქარებს მავნე ნივთიერებები, რომელიც ორგანიზმში გარემოდან ხვდება, — ამტკიცებენ ამერიკელი სწავლულები. კაროლინის უნივერსიტეტის ონკოლოგიური ცენტრის სპეციალისტებმა, ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ გენები მხოლოდ 30%-ით ახდენს გავლენას იმაზე, როგორ გამოიყურება ადამიანი, ხოლო გარეფაქტორები ორგანიზმზე გაცილებით სერიოზულად მოქმედებს — მათი როლი ექსპერტებმა 70%-ით შეაფასეს. დაბერების პროცესის სისწრაფის განსაზღვრის მეთოდი მკვლევარებმა მღრღნელებზე გამოსცადეს და გამოავლინეს ის გენები, რომლებიც მეტად უწყობს ხელს დაბერებას. მიღებული მონაცემების მიხედვით, ყველაზე საშიში ტოქსინი სიგარეტის კვამლია, მეორე და მესამე ხარისხის ზიანს ახალგაზრდობას ულტრაიისფერი გამოსხივება და ქიმიოთერაპია აყენებს. თანაც, ეს უკანასკნელი პროცედურა სიბერეს 15 წლით გვიახლოებს. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ძირითადად, ეს ფაქტორები აზიანებს ჯანმრთელ უჯრედებს, რომლებიც ნეგატიური ზემოქმედების გამო, გაყოფის უნარს კარგავს. დაზიანებული უჯრედები დროთა განმავლობაში გროვდება ორგანიზმში და სხვადასხვა სახის ანთებით პროცესებს იწვევს, შედეგად კი ათასგვარი ასაკობრივი დაავადებაც ჩნდება.

სუდოკუ

ადვილი

						3	1	9
		3	1					
	2				3		5	
			4	8			2	3
4				5				7
7	9			3	2			
	1		3				9	
					6	4		
2	5	7						

სტანდარტი

	4		7					
		6		5		9		
8			6		4	7		
2		5		7		4		3
	3						9	
6		8		4		2		7
		7	3		5			6
		3		1		8		
					7		4	

რთული

	9	7		3			5	
	8			1	9		4	
3			8			2		5
2	7						8	6
9		8			3			1
	4		5	9			2	
	2			4		9	6	

ექსპერტი

		9	2			1	6	
							8	
			1	6	9		3	
			3			2		
6			5		1			3
		2			6			
	6		7	4	5			
	4							
	2	1			3	8		

ლეიკემიას ერთი პრეპარატით განკურნავენ

ავსტრალიელმა მედიკოსებმა განაცხადეს, რომ ცდები ლეიკემიის საწინააღმდეგო ექსპერიმენტულ პრეპარატზე წარმატებით დასრულდა. მელბურნის ონკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, წამალ ABT-199-ის ცდების მონაწილე 67 პაციენტი იყო, რომელთაც ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკოზი ჰქონდათ. პრაქტიკულად, ყველა ეს ადამიანი განუკურნებელი ავადმყოფი იყო და საშუალოდ, 18 თვის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი, თუმცა საცდელი პრეპარატით თითქმის ერთწლიანი მკურნალობის შემდეგ, მათმა 23%-მა დაამარცხა კიბო, 61%-ში კი ნაწილობრივი რემისია მიდის.

სტერილური სისუფთავე საშიშია

სწავლულებმა კემბრიჯის უნივერსიტეტიდან მშობლებისთვის განკუთვნილი ახალი რეკომენდაციები გამოაქვეყნეს. ბავშვის პატრონებს სპეციალისტები ურჩევენ, საწოვარები არ დაასტერილონ, გაიჩინონ სახლში ძაღლი და ბავშვს უფლება მისცენ, იატაკზე დაგდებული საჭმელი ჭამოს... მათი თქმით, ეს ყველაფერი ოჯახის ჯანმრთელობას შეუწყობს ხელს, რადგან სტერილური სისუფთავე საშიშია — ასეთ შემთხვევაში სასარგებლო ბაქტერიებიც კვდება, მათი რაოდენობის გასაზრდელად კი აუცილებელია, ხშირად გახვიდეთ ქალაქგარეთ, წაივარჯიშოთ პარკში და ოჯახის წევრებს ხშირად აკოცოთ. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ის ბავშვები, რომელთა მშობლებიც ნაკლებად იცავდნენ სტერილურ სისუფთავეს, სამჯერ ნაკლებად ავადდებოდნენ ეგზემათი და ასთმით.

ყინულის დიეტა

ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ყინულის დიეტა, რომლის ავტორიც გასტროენტეროლოგი ბრაიან ვაინერია. დოქტორმა არა მხოლოდ გააცნო გახდომის მსურველებს ყინულის უპირატესობა, ამ თემაზე წიგნიც The Ice Diet დაწერა და ინტერნეტშიც უფასოდ განათავსა. წიგნში აღწერილია ახალი დიეტის ყველა უპირატესობა და განსაკუთრებული თვისებები. ამერიკელი სწავლულის განცხადებით, ყინული შესანიშნავად წვავს კალორიებს (160 კკალ — ისევე, როგორც 1,6 კილომეტრის გარბენისას), თუმცა ზედმეტად გატაცებაც არ ღირს, საკმარისია, დღე-ღამეში მხოლოდ ერთ კილოგრამამდე მირთვათ. ვაინერის თქმით, როცა ადამიანი ყინულის მნიშვნელოვან რაოდენობას მიირთმევს, მისი ორგანიზმი წვავს ენერგიას ყინულის გასადნობად. ყინულით ორმაგი ეფექტის მიღწევა შეიძლება — თან დანაყრდებით და ამავდროულად, კალორიებსაც დაწვავთ. დოქტორის განცხადებით, ყინულის ზომიერად მიღება ადამიანის ჯანმრთელობას არავითარ პრობლემას არ უქმნის. რაც შეეხება კბილებს, ყინულმა, დაკვნეტისას, შესაძლოა, ემალი და ღრძილები დააზიანოს, ამ შემთხვევაში ექიმი მსურველებს ურჩევს, ყინული ან პირში გაადნონ, ანდა დაფხვნან და ისე მიირთვან.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ტელეკომპანია „თრიალეთი“

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

032 239 38 23
599 25 13 31
www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge
თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

ცესკო
ჩვენ ვითვლით ადამიანების ნებას
www.cesko.ge